საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 55
(11 512)

17 – 19 ივლისი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## შეიქმნა მსოფლიო ფეხბურთის საარბიტრაჟო ტრიბუნალი 4


კოლუმბია — ეკვადორი

COPA AMERICA
COLOMBIA 2001

## კოპა ამერიკა 5

BEIJING 2008

## პეკინი 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელია 2

## პროფესიულ კრივს გზა ეხსნება ოლიმპიური რინგისკენ 7

## ქაკ როგი — სამარანჩის მემკვიდრე


როგი

## მილოცვა საქართ-ველოდან 2

## ტრაგედია 4 უზბაზე

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია შეშფოთებულია

## ინტერტოტოს თასი მესამე ეტაპი 6



რენი (საფრანგეთი) — სინოტი (ჩეხეთი)
ოლივერ მონტერუბიო გამარჯვებას ზეიმობს

«ფორმულა-1»



ჰაკინენი



„ტურ დე ფრანსის" მე-9 ეტაპის გამარჯვებული – სერგეი ივანოვი

7

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

**ველოსპორტი.** „ტურ დე ფრანსის“ მეცხრე ეტაპი მოიგო რუსეთელმა მრბოლმა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა სერგეი ივანოვმა. საერთო ჩათვლაში ცვლილებები არ მომხდარა. ყველაფერი ალბათ დღეს, 17 ივლისს გადაწყდება მთიან ტრასაზე. ჭერჭერობით საერთო კლასიფიკაციაში ისევ ავსტრალიელი ტრეიდი ლიდერობს.

**ჩოგბურთი.** ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი, რომელმაც მთლიანად გამოტოვა ბალახის კორტების სეზონი, დღეს კვლავ გამოვა კორტებზე შტუტგარტში, სადაც გუშინ „მერსედესის თასის“ გათამაშება დაიწყო.

**ჭადრაკი.** დორტმუნდში მიმდინარე ტურნირის მეხუთე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონები: ფიდეს ვერსიით ანანდი და „ისტორიული ვერსიით“ — კრამნიკი. მე-17 სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დიდ სპორტში მოღვაწეობისას გამოვლენილი თავდადებისა და მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსისათვის, საქართველოში სპორტული ტანვარჯიშის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი ქალი საქართველოში, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ***მედეა (მზია) ჯუღელი*** დაჯილდოვდა III ხარისხის ვახტანგ გორგასალის ორდენით.

**მოსკოვი.** გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი შეხვდა სოკ-ის ყოფილ და ახალ პრეზიდენტებს. „გთავაზობთ წინადადებას, სოკ-ის ყოველი ახალი პრეზიდენტი მოსკოვში ავირჩიოთ“ — თქვა ამ შეხვედრისას პუტინმა.



# აზმაიფარაშვილი და ქუკოვა

ბათუმი (ჩვენი სპეც. კორ.) თითქმის ერთთვიანი საჭადრაკო ფესტივალის „ბოლო აკორდი“ იყო საჩვენებელი მატჩები საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მოჭადრაკეთა მონაწილეობით. ზურაბ აზმაიფარაშვილი ეთამაშებოდა ახალგაზრდა სომეხ დიდოსტატ არსენ ეგიაზარიანს, რომელმაც შავიზღვისპირეთის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ნონა გაფრინდაშვილი — ევროპის შარშანდელ ჩემპიონსა და მსოფლიო თასის ფინალისტს, შავიზღვისპირეთის ჩემპიონატის ქალთა შეჯიბრებაში გამარჯვებულ ნატალია ქუკოვას (უკრაინა). მეტოქეებს პარტიაზე 15-15 წუთი ეძლეოდათ.




როგორც მოსალოდნელი იყო, აზმაიფარაშვილმა დაამარცხა მოწინააღმდეგე. პირველი პარტია, სადაც ქართველი დიდოსტატი თეთრი ფიგურებით თამაშობდა, მისივე გამარჯვებით დასრულდა. ამას მოჰყვა ყაიმი მეორე პარტიაში.

უფრო რთული ბრძოლა გაიმართა გაფრინდაშვილ-ქუკოვას მატჩში. პირველი ორი პარტია ყაიმით დასრულდა, დაინიშნა დამატებითი შეხვედრა უკვე ელვისებური ჭადრაკის წესებით, სადაც მეტოქეებს სულ 5-5 წუთი ეძლევათ. პარტია ქუკოვამ მოიგო.

ასე დასრულდა ბათუმის საჭადრაკო ფესტივალი, რომელსაც ევროპის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის კუტინმა (სლოვენია) ბრწყინვალედ ჩატარებული უწოდა.

*სურათებზე: ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნატალია ქუკოვა.*

**ავტოკატასტროფა.** ბელგიის „სტანდარდისა“ და ქვეყნის იუნიორთა ნაკრების ფეხბურთელი მოჰამედ ელ-იმანი ავტოკატასტროფაში მოყვა თავისი მანქანით სუეცის არხის სანაპიროზე. ფეხბურთელის მდგომარეობა მძიმეა.

**ფეხბურთი.** გუშინ საბერძნეთის „ოლიმპიაკოსმა“ კონტრაქტი გააფორმა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონთან ფრანგ ნახევარმცველ ქრისტიან კარამბესთან. ახალ ფეხბურთელში კლუბმა 3 მილიონი დოლარი გადაიხადა.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

**მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 1 თვე დარჩა**

SALT LAKE 2002

**ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 210 დღე გვაშორებს**

**8-24 თებერვალი 2002 წ.**

## მილოცვა ჟაკ როგს, მადლობა სამარანჩს

*საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი მეძმარიაშვილმა გუშინ მილოცვა გაუგზავნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალ პრეზიდენტს ჟაკ როგს ამ თანამდებობაზე მის არჩევასთან დაკავშირებით. „გულდასმით ვადევნებდით თვალ-ყურს მოსკოვში სოკ-ის 112-ე სესიის მუშაობას. ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ სწორედ თქვენ გახდებოდით ღირსეული წინამორბედის ღირსეული მემკვიდრე. მსოფლიო ოლიმპიურმა მოძრაობამ კარგად იცის თქვენი უნარი და შესაძლებლობები, ეჭვიც არ არის, რომ ჩვეული ენერგიით და ღვაწლით, ახალ სიმაღლეზე აიყვანთ ოლიმპიურ სპორტს და გააღრმავებთ ოლიმპიურ იდეალებს ჩვენს პლანეტაზე თანამოაზრეებთან ერთად.*

*საქართველოში თქვენ კარგად გიცნობენ და ახსოვთ ის სიკეთე, რაც თქვენ და ბატონმა სამარანჩმა მოუტანეთ ჩვენს დამოუკიდებელ ქვეყანას ოლიმპიზმის მყარად დასამკვიდრებლად. მადლობა თქვენ ამისათვის. გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის საკეთილდღეოდ“ – ნათქვამია მილოცვაში.*

## ჟაკ როგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მერვე პრეზიდენტია

**გუშინ,** მოსკოვში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 112-ე სესიაზე, ხუან ანტონიო სამარანჩის მემკვიდრედ და სოკ-ის ისტორიაში მერვე პრეზიდენტად ბელგიელი ჟაკ როგი გამოაცხადეს. აღსანიშნავია, რომ 21 წლის წინათ, სამარანჩი სწორედ მოსკოვში აირჩიეს სოკ-ის პრეზიდენტად. მისი წასვლა ამ პოსტიდან და ახლის არჩევაც, მოსკოვში შედგა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის თანამდებობაზე პრეტენზიას აცხადებდა ხუთი კანდიდატი: ამერიკელი ანიტა დეფრანცი, კორეელი იუნ იონგ კიმი, კანადელი რიჩარდ პაუნდი, უნგრელი პალ შმიდტი და ბელგიელი ჟაკ როგი. გამარჯვებისთვის საჭირო იყო ხმის აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება. პირველ ტურში მხარდამჭერთა ყველაზე მცირე რაოდენობა აღმოაჩნდა ანიტა დეფრანცს, მისი მონაწილეობა არჩევნებში საერთოდ პირველი შემთხვევა იყო ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში.

მეორე ტურის შემდეგ, სამარანჩმა გამარჯვებულად ჟაკ როგი გამოაცხადა. როგმა მადლობა გადაუხადა სოკ-ის წევრებს და იქვე შეასრულა საპატიო მისია უკვე პრეზიდენტის რანგში — ოლიმპიური ორდენი გადასცა ახლა უკვე სოკ-ის ექს-პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს.

ჟაკ როგი 59 წლისაა. 10 წლის განმავლობაში სოკ-ის წევრად მოღვაწეობის პერიოდში მან საერთო აღიარება და ავტორიტეტი მოიპოვა. 1998 წლიდან სოკ-ის აღმასკომის წევრია, იმავე წლიდან ევროპის ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. პროფესიით ქირურგი-ორთოპედია, პროფესორი, ფლობს ხუთ ენას, მათ შორის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალურ ენებს — ინგლისურსა და ფრანგულს, რამაც გარკვეულწილად სხვა კონკურენტებთან მისი უპირატესობა განაპირობა კიდეც.

როგი ხუთი წელიწადია სათავეში უდგას სოკ-ის საკოორდინაციო კომისიას. ეს კომისია პასუხისმგებელია ოლიმპიადების ჩატარებაზე, სწორედ როგის ხელმძღვანელობით, წარმატებით ჩატარდა ოლიმპიური თამაშები სიდნეიში, ახლა კი ათენის თამაშების მომზადებას ხელმძღვანელობს.

სოკ-ის ახალ პრეზიდენტს საინტერესო სპორტული წარსულიც აქვს. იგი წარმატებით გამოდიოდა აფროსანთა შეჯიბრებებში. მონაწილეობდა სამ ოლიმპიადაში, იყო მსოფლიო ჩემპიონი. ათი მატჩი აქვს ჩატარებული ბელგიის მორაგბეთა ნაკრების შემადგენლობაში.

ჟაკ როგს კარგად იცნობენ ჩვენშიც. იგი რამდენჯერმე იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სტუმარი და პრაქტიკული დახმარება გაუწევია არაერთი პრობლემის გადაჭრაში. საერთოდ, მას იცნობენ როგორც ყველანაირი „პრობლემის უპრობლემოდ“ მომგვარებელს. სამარანჩის მსგავსად როგი გარკვეული დოზით დიპლომატიცაა და ყოველმხრივ შეეცდება იპოვოს კონსესუსი ყველგან და ყოველთვის.

უნდა ითქვას, რომ 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის არჩევნების წინ როგი ხმამაღლა აცხადებდა: „სოკ-ს სურს უპირატესობა მიანიჭოს ქვეყანას, რომლის მოსახლეობა დედამიწის მცხოვრებთა მეოთხედს შეადგენს და ასეთ ხალხმრავალ ქვეყანაში, თამაშები არასდროს ჩატარებულა. ჩვენ ვალდებული ვართ სრულად შევიტანოთ ოლიმპიური სულისკვეთება დედამიწის ყველა ნაწილში“. შეგახსენებთ. რომ ამ აზრს თვით სამარანჩიც იზიარებდა.

# პეკინში შეხვედრამდე

## ჩინეთის დედაქალაქი 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელია

მოსკოვში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 112-ე სესიაზე, როგორც ცნობილია, პეკინი აირჩიეს 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად. ეს ფაქტი ისტორიული მოვლენაა, რადგან ჩინეთში თამაშები არასდროს ჩატარებულა. გამარჯვების მოპოვება კონკურენტებთან კი მით უფრო საამაყოა, რომ, რაც დრო გადის, სულ უფრო საპატიო ხდება მასპინძლობდე ოლიმპიადას. ამ უფლების მოპოვების მიღმა კი უდიდესი ფული, სახელი და დიდებაა. აღარც ისაა გასაკვირი, როცა კონკურსში გამარჯვებული ქალაქის მცხოვრებლების აღტაცება არაფრით ჩამოუვარდება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებით გამოწვეულ საყოველთაო სიხარულს.




...როცა ხუან ანტონიო სამარანჩს კენჭისყრის მეორე ტურის შედეგების პაკეტი გადასცეს, უკვე პოსტიდან წამსვლელი, სოკ-ის მეშვიდე პრეზიდენტი, ზეზე წამოდგა და ტრიბუნას მიაშურა. მივიდა რა მიკროფონთან, განაცხადა, რომ მზადაა დაასახელოს გამარჯვებული. მანამდე მშფოთვარე დარბაზში დაძაბულმა სიჩუმემ დაისადგურა. აუცილებელი შესავალი სიტყვების შემდეგ, სამარანჩმა წარმოსთქვა – „პეკინი“! იმავე წამს დარბაზი კვლავ ახმაურდა, ჰაერში ისროდნენ ყველაფერს, ვის რა მოხვდა ხელთ, ყველაზე მეტად ასობით ჩინელი ჟურნალისტი თუ დელეგაციის წევრი აქტიურობდა. ვებერთელა ეკრანი, რომლის მეშვეობითაც თვალს ადევნებდნენ არჩევნების მიმდინარეობას, წითელმა ფარდამ დაფარა წარწერით: „პეკინი – ოლიმპიადა 2008-ის დედაქალაქი“.

ოლიმპიადის მასპინძლად არჩევა ეს უკვე თავისთავად ნიშნავს საერთაშორისო აღიარებას და ამისათვის მზადაა მსოფლიოს ნებისმიერმა ქვეყანამ ყველაფერი გაიღოს. ზიდანი უკვე მესამე დღეს, მას შემდეგ, რაც მრავალმილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „რეალთან“, ორი დღით მოსკოვში ჩაფრინდა მხოლოდ იმისთვის, რომ სოკ-ის წევრების წინაშე რამდენიმე წინადადებით გამოსულიყო და თავისი გამოსვლა დაემთავრებინა მოწოდებით მხარი დაეჭირათ პარიზისთვის.

ყურადღების მისაპყრობად კანადამ ავანსად ჩადო მილიარდი დოლარი ტორონტოში სპორტული ბაზების გასაშენებლად იმ იმედით, რომ თუნდაც როდესმე ოლიმპიადა ამ ქალაქშიც ჩატარდება. ჩინეთმა მაინც ყველაზე უკეთ გათვალა: მთელ მსოფლიოში მართავდა ძვირადღირებულ აქციებს, რათა თავის სასარგებლოდ გადაეხარა ხმის მიცემისას სასწორის პინა.

„ჩვენ გვწამდა, რომ ჩვენი გამარჯვება ოლიმპიური ქალაქების კონკურსში იქცეოდა ისტორიულ მოვლენად. 2008 წლის ოლიმპიადა ჩატარდება უძველესი და უმდიდრესი ისტორიის ქვეყანაში, სადაც მილიარდზე მეტი მოსახლეა – ქალაქში, რომლის ისტორია 3 ათას წელს ითვლის“, – განაცხადა კენჭისყრის შედეგების გამოცხადებისთანავე „პეკინი-2008“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ვან ვეიმ. მისივე თქმით, ოლიმპიადის ჩატარებას პეკინში მხარს უჭერს ჩინეთის მოსახლეობის 96 პროცენტი. დაადასტურა აგრეთვე, რომ მონაწილეებსა და სტუმრებს პეკინში დახვდებათ მსოფლიოში საუკეთესო სპორტული ბაზები, ოპტიმალური ეკოლოგიური პირობები და მომსახურების სფეროს დიდი არჩევანი.

პეკინი მზადაა დამატებით კიდევ 30 მილიარდი დოლარი ჩადოს ოლიმპიადის ჩასატარებლად. ჩინეთის მთავრობა კი ამ თანხის აუცილებლად გამოყოფის გარანტიას იძლევა. კენჭისყრამდე ყველა კონკურსანტი ქალაქების წარმომადგენლებმა ფორმალური მოთხოვნა შეასრულეს და პრესკონფერენციები ჩაატარეს, სწორედ ამ შეხვედრებზე სოკ-ის ეთიკური კომისიის თავმჯდომარე კება მბაე, ყველას ერთსა და იმავე შეკითხვას უსვამდა: „ხართ თუ არა მზად, დაიფიცოთ, რომ ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების მიღების შემთხვევაში, პირველიდან ბოლო დღემდე, მკაცრად დაიცავთ დოპინგ-კონტროლის ყველა მოთხოვნას? თქვით „ჰო“ ან „არა“. ჩინელებს კი ერთი განსხვავებული შეკითხვაც დაუსვეს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთის დელეგაციის წევრებიდან გამომსვლელთა ნახევარი განმარტებებს იძლეოდა ჩინურ ენაზე და სოკ-ის ჩინოვნიკები სამართლიანად დაინტერესდნენ: ხომ არ იჩენს თავს ენობრივი ბარიერი 7 წლის შემდეგ? ჩინეთის ფარგლებს გარეთ ამ უძველეს ენაზე ცოტა თუ ლაპარაკობს – მოიძებნება კი ცისქვეშეთში იმდენი თარჯიმანი, რომ სპორტსმენებმა და სტუმრებმა თავისუფლად იგრძნონ თავი? – მოიძებნება, უპასუხა ჩინეთის რესპუბლიკის სახალხო კრების ვიცე-პრეზიდენტმა ლი ლანკინმა. ამ მაღალი ჩინის სახელმწიფო მოხელის პასუხმა სავსებით დააკმაყოფილა სოკ-ის წევრები და იქნებ ამანაც, გარკვეულწილად, განაპირობა კიდეც პეკინის წარმატება კენჭისყრაში.

პეკინმა 56 ხმა მიიღო, ანუ აუცილებელი უმრავლესობა. მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ მეორე ტურში. მოსკოვში ჩასული სოკ-ის 116 წევრიდან ხმის მიცემაში მონაწილეობდა – 102. იაპონიის, ჩინეთის, კანადის, საფრანგეთისა და თურქეთის წარმომადგენლებს არჩევანში მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგან მათი ქალაქები ითხოვდნენ ოლიმპიადას და დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენდნენ. მას შემდეგ, რაც პირველი ტურიდან ოსაკა გამოეთიშა, მეორე ტურში იაპონელებს თავისი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მიეცათ. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ იქნებ სწორედ იაპონელთა მხარდაჭერამ მოუტანა გამარჯვება ჩინელებს. ბოლოს და ბოლოს, თამაშები აზიაში მაინც დარჩებოდა.

ტორონტომ 22 ხმა მიიღო, პარიზმა – 22, სტამბულმა – 9. ხუან ანტონიო სამარანჩმა და ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ მოაწერეს ხელი შეთანხმებას პეკინში 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების შესახებ.

ჩინეთმა ბოლო 10 წელიწადში 57 მსოფლიოს და კონტინენტურ ჩემპიონატებს უმასპინძლა სპორტის სხვადასხვა სახეობაში, აგრეთვე აქ ჩატარდა აზიის თამაშები, დიდი საერთაშორის ტურნირები. პეკინი აშკარა ფავორიტი იყო იმ ამბიციური დაპირებებით, რომლის მსგავსი ჯერ არ ახსოვს ოლიმპიური თამაშების ისტორიას.

აღსანიშნავია, რომ სამარანჩი დიად უჭერდა მხარს პეკინს. ეს მისი ბოლო სურვილი იყო, სოკ-ის ახალ პრეზიდენტად ჟაკ როგეს ხილვასთან ერთად. პირველი სურვილი აისრულა, რჩებოდა მეორე, რომლის რეალიზება არც თუ ადვილი იყო კონკურენტთა გარემოცვაში. თუმცა, სამარანჩს აქაც გაუმართლა – მის მემკვიდრედ ბელგიელი ჟაკ როგი დასახელდა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა შეშფოთებას გამოთქვამდა ჩინეთში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, როგორც ხედავთ, პეკინმა მაინც მიაღწია საწადელს.

## ვიტალი სმირნოვი სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტია

სოკ-ის 112-ე სესიაზე, მოსკოვში, რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვი, სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ამ პოსტზე მან შეცვალა ამერიკელი ანიტ დეფრანცი, რომელსაც ოთხწლიანი ვადა გაუვიდა. სოკ-ის ახალ პრეზიდენტს ჟაკ როგის სულ ოთხი მოადგილე ეყოლება.

სესიის მონაწილეებმა აგრეთვე სოკ-ის აღმასკომის წევრად აირჩიეს საბერძნეთის წარმომადგენელი ლამბის ნიკოლაუ, კორეელ უნ იონგ ბინის ნაცვლად. ჟაკ როგის ადგილი კი აღმასკომში ლივიელმა ტონი ხურიმ დაიკავა, მაგრამ 2002 წლამდე არჩევნებში შემდგომი მონაწილეობის უფლებით.

სოკ-ის წევრთა რიგები კი 7 ახალი წევრით განახლდა, რომელთა შორისაა სამარანჩის ვაჟი – უმცროსი ხუან ანტონიო სამარანჩი.

## ინტერნეტი – სოკის საინფორმაციო სტრუქტურაში

ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე საშუალებები ბევრს აკეთებს ოლიმპიზმის პროპაგანდისთვის, მაგრამ, როგორც მოსკოვში სოკ-ის 112-ე სესიაზე მარკეტინგის კომისიის თავმჯდომარემ რიჩარდ პაუნდმა (სურათზე) აღნიშნა, ამ სფეროში ჯერ კიდევ რჩება გამოუყენებელი რეზერვი, კერძოდ, რადიოს შესაძლებლობა, რომელიც ოლიმპიზმის იდეალებს გააცნობს იმ ხალხებს, სადაც ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი ტელევიზია (იგულისხმება განვითარებადი ქვეყნები), აგრეთვე ინტერნეტის ქსელი, რომლის შესაძლებლობები დღითიდღე იზრდება ცივილიზებულ მსოფლიოში. დასახელდა ასეთი შეფარდება: ტელევიზიით ოლიმპიურ თამაშებს თვალყურს ადევნებს მილიონობით ადამიანი, ინტერნეტიდან კი ინფორმაციას იღებს მხოლოდ 20-25 მილიონი სპორტის მოყვარული. ასეთი შეუსაბამობის დაძლევის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანაბარ პირობებში ჩაყენებისათვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კორექტივებს შეიტანს თავის მარკეტინგის პოლიტიკაში.

## ზამთრის ოლიმპიადის ყველა მონაწილეს დოპინგზე შეამოწმებენ

**ამის შესახებ მოსკოვში სოკ-ის 112-ე სესიაზე განაცხადა სოლტ-ლეიკ-სიტში 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მიტ რომნიმ. მან კმაყოფილება გამოთქვა თეთრი ოლიმპიადისათვის მზადების მიმდინარეობაზე. უსაფრთხოების დასაცავად აშშ-ის მთავრობამ გამოჰყო 200 მილიონი დოლარი. მოსახლეობა იუტას შტატიდან დიდ დაინტერესებას იჩენს ოლიმპიადისადმი. მათ 50 მილიონი დოლარი შეწირეს თამაშების ფონდს, სპონსორებმა — 100 მილიონი. 64 ათასი მოხალისე მზადაა უსასყიდლოთ მოემსახუროს თამაშებს. ითქვა, რომ ოლიმპიადის აბსოლუტურად ყველა მონაწილე გაივლის დოპინგზე შემოწმებას, რისთვისაც აშშ-ის ხელისუფლება ერთ მილიონ დოლარს გაიღებს.**

**თამაშების მონაწილეებისა და სტუმრებისთვის დაგეგმილია მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა. აზარტული თამაშის მოყვარულებს კი სპეციალური ავტობუსებით გადაიყვანენ, სადაც უამრავი კაზინო და სხვა გასართობი დაწესებულებაა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



ერთგვარი სენსაცია უკვე მოახდინა, – ოლიმპიადის დებიუტანტმა ბევრი ალარაფერი დატოვა მაქსიმალურ ქულამდე. ასე იქცა მზიას შედეგი „ათვლის წერტილად“, უპირველესად – მსაჯებისთვის. მალე ყველაფერი გაცხადდა: 9,7 მეათედის ირგვლივ ტრიალებდნენ ფავორიტები. ავტორიტეტების სახელის ბრწყინვალება კი მსაჯებს „აიძულებდა“ სულ მცირედით მაინც წაეკრათ ხელი აღიარებულთათვის. ერთადერთი, ვინც შემფასებელთა ნება გატეხა, მოსკოველი ეკატერინა კალიჩუკი იყო. მას ყველაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა. საერთოდ კი, პირველ ოთხ მონაწილეს შორის ქულათა განსხვავება არა თუ მეათედი და მეასედი, მეათასედი იყო. საბოლოოდ მზიას აქ მეოთხე შედეგი აღმოაჩნდა. ქულათა სხვაობის შემხედვარე საბჭოთა მწვრთნელებს სინანულის გამოხატვის მეტი ალარაფერი დარჩენოდათ.

## მზია ჯულელიდან – უსასრულობისაკენ

ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიურ ასპარეზობას საბჭოთა ნაკრები იწყებდა, აგრძელებდნენ უნგრელები და ასე, რიგითობით ცალკეული ქვეყნები. გასაგებია, რომ დებიუტანტებისთვის ასეთი პატივი სულაც არ იყო სასურველი, მაგრამ ეს თვით ფორტუნამ ინება, სხვა რა გზა იყო. ნაკრების მწვრთნელები აშკარად ამჩნევდნენ, რომ გოგონები ნერვიულობდნენ. წინასასტარტო განწყობის ასამაღლებლად, დამრიგებლებმა ყველაფერი ილონეს, რომ დაძაბულობა განემუხტათ – სათითაოდაც ესაუბრებოდნენ სპორტსმენებს და ინდივიდუალურადაც.

სადაცაა პირველ მონაწილეს – მზია ჯულელს მოუხმობენ სარბიელზე. ალექსი ალექსანდროვი ეუბნება: „მზია, რაკი შენ იწყებ, იცოდე, შენზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოვა მთელი გუნდი. შენი ყველას გვჯერა, ჩვეული თავდაჯერებით გააკეთე ყველაფერი“. დარბაზი გადაჭედილი იყო, გამაყრუებელი ხმაური დამთგუნველად მოქმედებდა, მაგრამ სიტუაციას გარკვეულწილად ხომ მანამდე შეაჩვიეს.

ასპარეზობა ბჯენითი ხტომებით დაიწყო. ჩათვლაში ორი ნახტომიდან საუკეთესო შედეგი შედიოდა. მზიამ 9,7 ქულა დაიმსახურა. ეს შედეგი იქცა ორიენტირად როგორც მონაწილეებისთვის, ისე მსაჯებისთვის.

სპორტის ამ სახეობაში პირადი სიმპათიების გარდა, რაც ვარჯიშთა შესრულების არტისტიზმსაც გულისხმობს, ტრადიციებსაც უწევენ ანგარიშს. ავტორიტეტებზე ალარაფერს ვამბობთ. არადა, ბევრ მათგანს მსაჯთა კორპუსი ჯერ კიდევ 1948 წლის ოლიმპიური თამაშებიდან, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებიდანაც კარგად იცნობდა. 9,7 მეათედან უმაღლეს შეფასებამდე – 10-მდე რაღა რჩება. მზიამ მოასპარაზეები ბჯენით ხტომებს მორჩნენ და ნაირსიმაღლის ღერძზე გადაინაცვლეს. მზია აქ საბჭოთა გუნდიდან მეორე მიდიოდა იარაღთან. საბოლოოდ ხუთმა თუ ექვსმა მონაწილემ გადაუსწრო, მაგრამ მთავარი დავალება შეასრულა – გუნდს ჩასათვლელი ქულა მოუტანა.

დვირი, საერთოდ, თითქმის ყველაზე ვერაგი ტანვარჯიშული იარაღია სპორტსმენისთვის. საბჭოთა ნაკრებს ახლა ეს იარაღი ნაკლებად აშინებდა, ძალიან ბევრს ვარჯიშობდნენ. ხომ გახსოვთ შეკრებაზე, რომ რამდენიმე დვირი ერთმანეთს მიადგეს მწვრთნელებმა, სხვა ყველა გასასვლელი ჩაკეტეს, რომ პირის დასაბანად მიმავალ ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილში მყოფ სპორტსმენებს, დვირზე გაევლოთ. მოკლედ, ტანმოვარჯიშეებში „ეშმაკის ხიდად“ ცნობილი დვირი, საბჭოთა სპორტსმენებს მაინცდამაინც ძალიან არ აშინებდათ. მით უფრო, მეორე დღის პროგრამა სწორედ ამ იარაღით დაიწყო და გადაღლასაც ვერავინ დაიჩივლებდა. მზიას გვერდიდან არ შორდებოდა საკავშირო სპორტკომიტეტის სამმართველოს უფროსი ნინა ლოგოფეტი (ფეხბურთელ ლოგოფეტის დედა) ამხნევებდა, იმის რწმენას უნერგავდა, რომ დვირზე ყველაზე უკეთ მზიას უნდა ესასპარეზა, „შენ ჩვენი გმირი ხარ“ – ჩაესმოდა მზიას მისი სიტყვები ჩვენს სპორტსმენს ყოველ ფეხის ნაბიჯზე და აგონდებოდა, ვიდრე იარაღს შეეჭიდებოდა. საბჭოთა ნაკრებიდან „ეშმაკის ხიდზე“ ფეხი არავის დაცურებია, ყველამ წარმატებით იასპარეზა და გუნდს ქულებიც შესძინეს.

იმავე დღის პროგრამაში შედიოდა თავისუფალი ვარჯიში. იწყებდა ეკატერინა კალინჩუკი, ამთავრებდა მარია გოროხოვსკაია, მზია მათ შორის შუალედში გამოდიოდა არენაზე.

და აი, აქ მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა, უწინარესად – მსაჯები. იმ პერიოდში ვაჟების მალაყი კარგად იყო ცნობილი, მაგრამ ქალებისთვის „უცხო ხილს“ წარმოადგენდა. გალინა გოროხოვსკაიამ პირველმა შეასრულა ეს ურთულესი ვარჯიში და გაოცებული დატოვა ყველა. მიუხედავად იმისა, რომ მარიამ ვარჯიშის დამამთავრებელ ფაზაში თავი ვერ შეიკავა და მუხლებზე დაეცა, მსაჯებმა არ გასწირეს, პირველ ოლიმპიელ ქალს, რომელმაც იმ დროისთვის ასეთი ურთულესი ილეთი წარმოადგინა, 9,8 შეფასება მისცეს.

საბჭოთა ქალ ტანმოვარჯიშეთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მარია გოროხოვსკაია, გალინა ურბანოვიჩი, გალინა შამრაი, გალინა მინაიჩევა, მედეა ჯულელი, ეკატერინა კალინჩუკი, ნინა ბოჩაროვა და პალინა დანილოვა, ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა გუნდურ პირველობაში.

გამარჯვებული გუნდის წევრები უმალვე მოექცნენ ჟურნალისტების ალყაში. მათ უსაფრთხოებოდნენ ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა




„ოქროს ქალიშვილების“ გამოჩენა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამერიკელი, ფრანგი და შვედი ფოტორეპორტიორები. ისინი ისე გაუშინაურდნენ საბჭოელებს, ოლიმპიურ სოფელშიც აკითხავდნენ, სადილობდნენ კიდეც ერთად. ლენინგრადიდან ყოველდღიურად ახალ-ახალი პროდუქტები თვითმფრინავით ჩაჰქონდათ საბჭოთა ოლიმპიელებთან.

იმ საღამოს ოლიმპიურ სოფელში ოქროს მედლებით დაბრუნებულ ქალიშვილებს დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყვეს. ტრიბუნაზე ავიდა საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე და ამაყად გამოაცხადა, რომ ქალთა ტურნირში ყველა ოლიმპიურ ჩემპიონს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

მაშინ ეს წოდება უმაღლეს სპორტულ ჯილდოდ ითვლებოდა.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*დასაწყისი იხ. „ლელო“ №40-41, 43-45, 47, 49, 51, 53.*

*გაგრძელება იქნება*

*საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები ჰელსინკში 1952 წლის ოლიმპიადაზე. მარცხნიდან მეექვსე – მზია ჯულელი.*




**კრივი** საქართველოს პირველობა იუნიორთა შორის

# გზა სარაევოსკენ რუსთავზე გადის



შემოდგომაზე იუგოსლავიის ქალაქი სარაევო უმასპინძლებს ევროპის პირველობას იუნიორთა შორის. კონტინენტის ჩემპიონატის მონაწილე საქართველოს მოკრივეები კი, რუსთავის „აზოტის“ სპორტული კომპლექსის რინგს უნდა დაესახელებინა, სადაც გაიმართა საქართველოს პირველობა 1983-84 წლებში დაბადებულ მოკრივეთა . წორის. ჩემპიონატის საგზურისათვის რუსთაველებთან ერთად იბრძოდნენ: თბილისის, ქუთაისის, ფოთის, თელავის, ტყიბულის, მცხეთის, გარდაბნისა და ახალციხის სპორსტმენები.

ასპარეზობაზე სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრეს ფოთელმა და თბილისელმა მოკრივეებმა. მათ შორის განსაკუთრებული მოწონება ხვდა მეორე საშუალო წონის ჯიმი კაპანოვს — იგი თბილისში აღიზარდა, ოთხი წელი მოსკოვში ცხოვრობდა და რუსეთის ჩემპიონი გახდა. ფინალში მას „ათენი — 2000“-ის ევროპის პირველობის ფინალისტი ფოთელი იუზა გულორდავა დაუპირისპირდა და ერთხმად გაიმარჯვა. სპეციალური ჟიურის გადაწყვეტილებით ჯ. კაპანოვი ტურნირის საუკეთესო მოკრივედ სცნეს. ფინალში იმარჯვეს აგრეთვე თბილისელებმა ტარიელ ზანდუკელმა (50 კგ), კონსტანტინე კუპატაძემ (54 კგ), ფოთელებმა კახაბერ ჟვანიამ (57 კგ), კობა ქარქაშაძემ (63,500 კგ) რომლებმაც ტაქტიკურად წარმართეს ფინალური შეხვედრები და სძლიეს მეტოქეებს.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: **48 კგ** — ზვიად ხადური (რუსთავი), **51 კგ** — ლაშა ოჩიგავა (ფოთი), **54 კგ** — კონსტანტინე კუპატაძე (თბილისი), **57 კგ**— კახაბერ ჟვანია (ფოთი), **60 კგ** — ტარიელ ზანდუკელი (თბილისი), **63,5 კგ** — კობა ქარქაშაძე (ფოთი), **67 კგ** — იოსებ თათენაშვილი (ახალციხე), **71 კგ** — დავით შათირიშვილი (თბილისი), **75 კგ** — ჯიმი კაპანოვი (თბილისი), **81 კგ** — ბესარიონ ხუტუაშვილი (თელავი), **+91 კგ** — თემურ ჯავახიშვილი (თბილისი).

**დავით ქავთარაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
„აიბას“ რეფერი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

## ცნობები აჭარიდან

# გოლფი ბათუმში

გოლფს, სპორტის ამ არისტოკრატიულ სახეობას ჩვენს მხარეშიც გამოუჩნდნენ მიმდევრები.

ბათუმის ბულვარში უკვე კარგა ხანია, რაც სპეციალური მოედანი გაიხსნა, სადაც ამ სპორტის სახეობის უამრავი მოყვარული იკრიბება. უკვე გადაწყდა პროფესიონალ მეგოლფეთა ფედერაციაც ჩამოყალიბდეს. რაც მთავარია, დაიგეგმა შესაბამისი ტურნირის ჩატარებაც.

# ბათუმი, დიასპორა და სპორტი

აჭარაში დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნულ უმცირესობათა დიასპორიის წარმომადგენლებს. მათთვის ხშირად იმართება ასპარეზობები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამას წინათ მოეწყო მონარდეთა ღია პირველობა, რომელშიც ორმოცდაათამდე მონაწილე შეიკრიბა.

პირად ჩათვლაში უძლიერესის სახელი მოიპოვა ზურაბ კუნჭულიამ, ხოლო წყვილთა შორის თავი ისახელა ზურაბ კუნჭულიასა და დიმიტრი ბაევის („სლავური სახლი“) დუეტმა; მეორე ადგილზე გავიდა მკრტიჩ კაპლანიან-სურენ სალახიანის (სომხეთი); მესამეზე — მიხეილ ტკაჩენკო-კაზ. მიქაელიანის („დრუჟბა“) წყვილები.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა — 1. „სევანი“ (სომხეთი); 2. „პანტერა“ (აფხაზეთი), 3. „სლავური სახლი“ (აჭარა).

ქართულ ნარდში, ჩემპიონი სურენ სალახიანი გახდა, ვიცე ჩემპიონი — დიმიტრი ქოქოლაძე (ქართულ-გერმანული ასოციაცია „აინუნგი“); ბათუმელ პონტოელთა წარმომადგენელი ვლადიმერ ავრამოვი მესამე იყო. საერთო ჩათვლაში სომხეთის გუნდმა 395 ქულა დააგროვა, „სლავურმა სახლმა“ — 355, „დრუჟბამ“ — 80, „ბათუმელ პონტოელ ბერძენთა საზოგადოებამ“ — 70, უკრაინისა და გერმანიის დიასპორთა წარმომადგენლებმა კი — 50-50 ქულა. წამახალისებელი პრემიები გადაეცათ ტურნირის მონაწილეს 81 წლის აფინა მალკიციდის, 15 წლის ომარ ხურციძესა და შეჯიბრების ყველაზე აქტიურ მონაწილეს სვეტლანა რუტინსკაიას.

***

**დასრულდა აჭარის ჩემპიონატი სპორტულ ნარდშიც თომა ლომაძის სახელობის თასზე, სატურნირო კვარცხლბეკზე გამარჯვებულები და პრიზიორები ასე განლაგდნენ: 1. შორენა სიხარულიძე, 2. ომარ ხურციძე, 3. ლიზ შენგელია. თითოეული მათგანი ფულადი პრემიით დაჯილდოვდა.**

**ოთარ მურვანიძე,**
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი

**საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ სამხრეთ უშბაზე (გაბრიელ ხერგიანის მარშრუტი) ასვლის დროს ტრაგიკულად დაიღუპნენ მთამსვლელები ვანო გულედანი და აშშ-ის მოქალაქე დევიდ მენსონი და თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.**

# უშბაზე მომხდარი ტრაგედიის გამო

ამჟამად დაღუპულთა ცხედრები გადმოსვენებულია თბილისში.

საძიებო-სამაშველო სამუშაოებში მონაწილეობდნენ: ბ. გუჯაბიძე, მ. ხაბაზი, ი. უგულავა, ი. კორძახია, ბ. ნიგურიანი, ი. ხერგიანი, მ. გოშთელიანი, სამაშველო სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელობას წარმართავდა მამუკა გიორგაძე.

მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია კიდევ ერთხელ კატეგორიულად აფრთხილებს ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს, რომ, როგორც საქართველოს, ასევე უცხოელ მოქალაქეთა მწვერვალებზე ასვლა, როგორც წესი, შეთანხმებული უნდა იქნას საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციაში და უნდა ჩატარდეს მწვერვალებზე ასვლების ორგანიზაცია-ჩატარების საქართველოში მოქმედი წესების შესაბამისად.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციასთან შეთანხმებისა და ასვლის წესების დარღვევის შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა, როგორც იურიდიული, ისე მატერიალური (საძიებო — სამაშველო სამუშაოების ჩატარება, ტრანსპორტირება და ა.შ.) ეკისრება მთამსვლური ღონისძიების ჩამტარებელ ორგანიზაციას (პირს).

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის ა/წლის 16 ივლისის №3 განკარგულებით, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის დეტალური შესწავლა. კომისიის დასკვნები გამოტანილი იქნება საზოგადოებრიობის სამსჯავროზე.

**საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია,**
**ქ. თბილისის მთამსვლელთა ფედერაცია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფეხბურთო სამყარო ერთიანი და ძლიერია

**● ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ვინაობას ალბათ შემოდგომაზე შევიტყობთ**
**● ფიფა სიახლეთა დანერგვას აპირებს.**

არგენტინაში ახლახან ჩატარებულ ფიფას რიგგარეშე კონგრესს საფეხბურთო სამყარო გარკვეული პრობლემებით შეხვდა. ფიფას პარტნიორი სამარკეტინგო ფირმის ISL-ის გაკოტრებამ მსოფლიოს საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციას თითქმის ფინანსური საფუძველი შეურყია, რამაც ფიფასა და უეფას შორის ახალი უთანხმოება წარმოშვა. ევროპული ფეხბურთის თავკაცები ბლატერის ფიფას პრეზიდენტობიდან გადაყენებასაც კი მოითხოვდნენ. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა ქართული დელეგაცია. სფფ-ს პრეზიდენტს და გენერალურ მდივანს ქართული ფეხბურთის აქტუალური საკითხებიც უნდა გაერკვიათ. გენერალურ მდივან **ვალერი ჩოლარიასთან** ინტერვიუში ჩვენ კიდევ ერთხელ მივუბრუნდით განვლილი კონგრესის პერიპეტიებს და ეროვნული ნაკრების პერსპექტივებს.


*ვალერი ჩოლარია*

***● კონგრესზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს. გაირკვა ფიფას ფინანსური მდგომარეობაც, რამდენად დადებითად აისახება ყოველივე ფეხბურთის შემდგომ განვითარებაზე?***

— უპირველესად მინდა აღვნიშნო, რომ ფიფას საკმაოდ მყარი ფინანსური საფუძველი გააჩნია. კონგრესმა მოიწონა შექმნილი ვითარების ბლატერისეული ახსნა-განმარტებები. იგი შეპირდა საფეხბურთო ეროვნულ ასოციაციათა ხელმძღვანელებს, რომ სრულად გააცნობს აუდიტის შედეგებს, რომელსაც კომპანია KPMG ჩაატარებს. ბლატერის სიტყვებით, ფიფას დანაკარგი არ აღემატება 28,22 მილიონ დოლარს, რომელიც ახალი სამარკეტინგო ფირმის მოღვაწეობის შემოსავლებით დაიფარება. შეიძლება ითქვას, რომ ფიფასა და უეფას კონფლიქტი მოგვარდა და მსოფლიო ფეხბურთი კვლავაც მონოლითურია.

***● ახალი სატრანსფერო სისტემა, საფეხბურთო არბიტრაჟი, ახალი საერთაშორისო კალენდარი, მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება საროტაციო სისტემით, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა — ეს საკითხები მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანია.***

— მართლაც ასეა. ახალი სატრანსფერო სისტემა სექტემბრიდან დაინერგება. შემდგომში ალბათ დადგინდება კომპენსაციათა და საჯარიმო სანქციების ფულადი ოდენობაც. პატარა კლუბები ახალგაზრდა ფეხბურთელთა მომზადებისათვის კომპენსაციას მიიღებენ. შეიქმნება „სოლიდარობის მექანიზმი" — ყველა კლუბს შორის, იგულისხმება სამოყვარულოც, რომლებიც ფეხბურთელთა ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ. პროპორციულად გადანაწილდება კომპენსაციები. 18 წლამდე ფეხბურთელთა სატრანსფერო ხელშეკრულებებს დაერთო პუნქტი, რომლის თანახმადაც ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან მაღალი დონის სავარჯიშო პირობებით და აკადემიური განათლებით — მხოლოდ ერთი სატრანსფერო სეზონის განმავლობაში (ზაფხული). ამას ემატება სეზონის შუა ერთი ან ორკვირიანი ლიმიტირებული სატრანსფერო „ფანჯარა" (ზამთარი). თითოეულ ფეხბურთელს სეზონის განმავლობაში მხოლოდ ერთი ტრანსფერის უფლება ექნება. ტრანსფერის ვადა ერთიდან ხუთ წლამდე განისაზღვრა. კონტრაქტის დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ სეზონის ბოლოს. ამოქმედდება წესი — შეთანხმების ცალმხრივად დამრღვევმა ფეხბურთელმა ან კლუბმა ფულადი კომპენსაცია უნდა გაიღოს. დაინერგება „დაცული პერიოდის" წესი, რომელიც 28 წლამდე მოთამაშეზე კონტრაქტის პირველი სამი, ხოლო მათზე უფროსი ასაკის ფეხბურთელებისათვის პირველი ორი სეზონის განმავლობაში იმოქმედებს. ამ პერიოდში კონტრაქტის ცალმხრივად დამრღვევი მკაცრად დაისჯება.

***● რას წარმოადგენს ფიფას ახალი სტრუქტურა — საფეხბურთო არბიტრაჟი?***

— კონგრესმა მხარი დაუჭირა დამოუკიდებელი ტრიბუნალის ჩამოყალიბების იდეას, რომელიც ფეხბურთში წარმოქმნილ დავას მოაწესრიგებს. საერთაშორისო საფეხბურთო არბიტრაჟს ხმა მისცა 174-მა დელეგატმა რვის წინააღმდეგ. ამასთან, გამოითქვა ერთგვარი შეშფოთება იმის თაობაზე, რომ არბიტრაჟისა და ქვეყანათა კანონმდებლობას შორის შეიძლება გარკვეული წინააღმდეგობები წარმოიშვას. საარბიტრაჟო სასამართლოს ფიფა დააფინანსებს. იგი დამოუკიდებლად იმოქმედებს. სადავო საკითხებს ფიფასა, კონფედერაციებსა, ლიგებსა, კლუბებსა, მოთამაშეებსა და ლიცენზირებულ აგენტებს შორის გაარჩევს ცხრა იურისტისაგან შემდგარი ტრიბუნალი თუ სადავო თანხა აღემატება 10.000 შვეიცარიულ ფრანკს (5534 აშშ დოლარი). გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის წინადადება, ფეხბურთელთა ხელფასების დავა განხილულიყო სამოქალაქო სასამართლოში, არ მიიღეს. საერთაშორისო საფეხბურთო საარბიტრაჟო ტრიბუნალი ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა იურიდიულმა პირმა ფეხბურთში უმაღლეს საარბიტრაჟო ინსტანციად უნდა აღიაროს.

***● რა ითქვა მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების საროტაციო სისტემაზე?***

— როდესაც ძალაში შევა როტაციის პრინციპი, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უპირველესი კანდიდატი აფრიკის კონტინენტი იქნება, — განაცხადა ზეპ ბლატერმა. თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, ეს როდის მოხდება. მხოლოდ დააზუსტა, რომ მომავალ წელს გამოამზეურებს როტაციის პრინციპის ძირითად დეტალებს.

***● რასიზმი ფეხბურთში საკმაოდ გავრცელებულია, განსაკუთრებით გულშემატკივრებს შორის...***

— ფიფამ ასოციაციათა ხელმძღვანელებს მოუწოდა მკაცრად ებრძოლონ რასიზმის ყველა გამოვლინებას. მატჩების ორგანიზატორები ვალდებულნი იქნებიან სტადიონებზე არ დაუშვან ის პირები, რომლებიც რასისტულ გამოსვლებში და აქედან გამომდინარე, ძალადობის აქტებში მონაწილეობენ. დაუშვებელია რასიზმის მქადაგებელი საგნებისა თუ სიმბოლოების სპორტულ არენაზე გამოჩენა. მწვრთნელებმა და კლუბების ხელმძღვანელებმა უნდა დასაჯონ ფეხბურთელი რასისტული გამოხდომებისათვის.

***● როგორი სახისაა საერთაშორისო კალენდარი?***

— საერთაშორისო კალენდარი 2002 წლიდან ამოქმედდება. ბლატერის განმარტებით, წელიწადში 12 დღე დაეთმობა ნაკრები გუნდების მატჩებს, 16 დღე — კონფედერაციათა საკლუბო ტურნირებს, 46 დღე — ეროვნულ ჩემპიონატებს. ჩემპიონატები შეიძლება ჩატარდეს იანვრის შუიდან თებერვლის შუა რიცხვებიდან ან ივნისის შუა რიცხვებიდან ივლისის შუამდე.

***● ახლა დღეს ჩვენთვის ყველაზე აქტუალურს, ნაკრების მწვრთნელის საკითხს შევეხოთ?***

— არგენტინაში შეხვედრა-კონსულტაციები გვქონდა ოთხი ქვეყნის — რუსეთის, უკრაინის, გერმანიისა და იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან, რომელთაც გავაცანით ეროვნულ გუნდში არსებული ვითარება. მათ მოითხოვეს ნაკრებზე სრული ინფორმაცია, რასაც აუცილებლად მივაწვდით. დაგვისახელეს კანდიდატურები, რომელთა ვინაობას მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების ყველა საკითხის და პირობების შეჯერების შემდეგ გავაცნობთ საზოგადოებრიობას. მწვრთნელის არჩევას არ ვჩქარობთ, რათა ყოველგვარი გაუგებრობა თავიდან ავიცილოთ. თუ ვის ჩავაბარებთ ეროვნულ გუნდს, შეიძლება შემოდგომაზე განვაცხადოთ. მანამდე გუნდი, უახლოესი მატჩებისთვის სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტის ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით მოემზადება. კონსულტაციები კიდევ გაგრძელდება. ვეცდებით გუნდისთვის შესაფერისი კანდიდატი მოვძებნოთ, რომელიც თანაბრად დააკმაყოფილებს როგორც ნაკრების, ისე გულშემატკივრების მოთხოვნებს. ჩვენი მხრიდან კი ყველაფერს ვიღონებთ მწვრთნელს მუშაობის შესაფერისი პირობები შევუქმნათ.

საერთაშორისო, თუ კონკრეტულად, ჩვენი ფეხბურთის საშემოდგომო პერსპექტივები დიდ ინტერესს იწვევს. ვიმედოვნებთ მათი დროული განხორციელება ქართულ ფეხბურთს სიკეთეს მოუტანს.

ესაუბრა
**მიხეილ საბახტარიშვილი**

# კახი კალაძემ ინტერნეტში ოფიციალური საიტი გახსნა


*კახი კალაძე*

საქართველოს ნაკრებისა და იტალიის „მილანის" ნახევარმცველმა კახი კალაძემ ინტერნეტში გახსნა თავისი ოფიციალური საიტი: WWW. KALADZE.Com, რომლის პრეზენტაცია შედგა კიევში. საიტი ჯერჯერობით მხოლოდ რუსულენოვანია, შემდეგ კი იგი „ალაპარაკდება" იტალიურად, ინგლისურად, და ქართულად. საიტის ერთ-ერთი შემქმნელი ანდრეი ბილეიჩუკი ამბობს, რომ საიტზე კალაძის ქომაგები ამოიკითხავენ ფეხბურთელის ბიოგრაფიულ მონაცემებს და იხილავენ 300-მდე ფოტოსურათს. ჯერჯერობით საიტი ორ დღეღამეში განახლდება ერთხელ, შემდეგ — ყოველდღიურად, თვეში ორჯერ კალაძე მონაწილეობას მიიღებს ინტერნეტ-ფორუმის რეჟიმში „ონ-ლაინ", ხოლო „მილანისა" და საქართველოს ნაკრების მატჩების დამთავრებიდან ორ საათში კალაძე განათავსებს თავის კომენტარს ყოველი მატჩის ირგვლივ.

პირველსავე დღეს კალაძის საიტს ინტერნეტში 500 გულშემატკივარი გაეცნო.

## ჩემპიონთა ლიგა

# მსაჯი ჰოლანდიელია

ხვალ, 18 ივლისს, ქუთაისის „ტორპედო" ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე შეხვედრაში ჩრდილოეთ ირლანდიურ „ლინფილდს" უმასპინძლებს. მატჩი „ტორპედოს" სტადიონზე 21 საათზე დაიწყება. შეხვედრას ჰოლანდიელი მსაჯები გაუძღვებიან: მთავარი მსაჯია ჯეკ ვან ჰუტენი, ასისტენტები — ბერენდ ტალენტი და არო ბრინკო, მეოთხე მსაჯია ერიკ ბრაგარი. მსაჯთა მუშაობას შეაფასებს უნგრელი მიკლოშ ნაგი; უეფას დელეგატია ავსტრიელი ჰანც ფანლერი.

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები

ლევსკი (ბულგარეთი) — ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 4-0
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — ტორპედო (ქუთაისი, საქართველო) 0-0
რეიკიავიკი (ისლანდია) — ვლაჟნია (ალბანეთი) 2-1
სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) — კაუნასი (ლიტვა) 0-0
ვაგური (ფარერები) — სლავია (მოზირი, ბელარუსი) 0-0
ბოჰემიანსი (ირლანდია) — შამქირი (აზერბაიჯანი) 2-0
ვალეტა (მალტა) — ჰაკა (ფინეთი) 0-0
დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — სკონტო (ლატვია) 1-6
არაქსი (სომხეთი) — შერიფი (მოლდოვა) 0-1

# ბონდო გიორგაძის მემორიალი

ქართული ფეხბურთის ქომაგებს კარგად ახსოვთ, თბილისისა და ბათუმის „დინამოს" 1965-75 წლების ცენტრალური თავდამსხმელი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი ბონდო გიორგაძე, მის უკვდავსაყოფად, ამას წინათ, ბათუმში ხსოვნის ტურნირი გაიმართა რვა გუნდის მონაწილეობით. ტურნირის ორგანიზატორი იყო ბათუმის განათლების განყოფილების საფეხბურთო სკოლა (დირექტორი გია ჯორბენაძე).

გათამაშებაში მონაწილეობდნენ ბათუმის (3), ფოთის, გორის, ქობულეთის (2), ხელვაჩაურის 1990-91 წლებში დაბადებული ნორჩი ფეხბურთელები. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბათუმის „ნორჩი დინამოელისა" (მწვრთნელი ტარიელ ქიშმარია) და ქ. ბათუმის განათლების განყოფილების სპორტსკოლის აღსაზრდელები (მწვრთნელი გია ჩიგოგიძე). 2-0 გაიმარჯვეს პატარა დინამოელებმა და გარდამავალი თასი ზედიზედ მეორედ მოიპოვეს. მესამე ადგილი ფოთელ ყმაწვილებს ხვდათ წილად.

გამარჯვებულ გუნდში თამაშობდნენ ალეკო ბაციკაძე, ნიკა დავითაძე, ბექა ზოსიძე, აჩიკო ბერიძე, ნიკა ნასუაშვილი, მიხეილ გოგოლიშვილი, გიორგი მაკარიძე, გელოდი ფალავანდიშვილი, თორნიკე ბერიძე, გიორგი კვაჭაძე, გიორგი თუთაშვილი, კახა თოდაძე, ბეგი კუტალაძე, ზურაბ მალაყმაძე, ზვიად ჩხაიძე, გიორგი ხარებავა, ირაკლი ნაჭყეპია, ლაშა მამეიშვილი, მინდია ფუტკარაძე, გიორგი ქათამაძე.

ტურნირის ორგანიზატორებმა სამახსოვრო პრიზები გადასცეს გამორჩეულ ნორჩ ფეხბურთელებს.

მემორიალის ყველაზე საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს კახა თოდაძე.

**ოთარ მურვანიძე,**
„ლელოს" საკ. კორესპონდენტი აჭარაში.

# მსაჯები ჰოლანდიურად დაუსტვენენ

ერთი თვის წინ, უეფას პროგრეს-კურსები III, სფფ-ს ადმინისტრაციულმა მუშაკებმა და კლუბების ხელმძღვანელებმა გაიარეს. ახლა მსაჯების ჯერია. ბორჯომის მოსამზადებელი შეკრებიდან გუშინწინ დაბრუნებულ მსაჯთა კორპუსს ორდღიან ლექცია-სემინარს ჩაუტარებს უეფას მსაჯთა კომიტეტის უფროსი ინსპექტორი ჰოლანდიელი კიის ბაკერი. მსაჯთა პროგრეს-კურსებს სასტუმრო „სიმპათია" უმასპინძლებს.

კურსების თემატიკა ასეთია: თამაშის წესების ახალი ინტერპრეტაცია:

— ასისტენტთა ფიფა-უეფასეულ მოთხოვნათა გათვალისწინებით მომზადება (სპეციალური ფუნქციები); — 17 ივლისს მსაჯთა ტესტირება ეროვნულ სტადიონზე 9-დან 12 საათამდე; მსაჯების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადების საკითხები.

კურსების მსვლელობისას გათვალისწინებულია დისკუსიები, კითხვა-პასუხი წარმოდგენილ საკითხებზე. პროგრეს-კურსები, როგორც წესი, დაიხურება სემინარის მსმენელთა დიპლომების გადაცემის ცერემონიით.

მოკლედ, ამ კვირაში საქართველოში ჰოლანდიელთა მოზღვავებაა და ყველაფერი მსაჯობას უკავშირდება. ტიტების ქვეყნის ერთი წარმომადგენელი ლექციებს წაიკითხავს. ოთხნი კი ქართული კლუბის საერთაშორისო მატჩს მოემსახურებიან.

**საბა ლომინაძე**

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

# აფრიკა

**A ჯგუფი**

ზამბია — კამერუნი 2-2
ტოგო — ლიბია 2-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კამერუნი** | **8** | **6** | **1** | **1** | **14-4** | **19** |
| ანგოლა | 7 | 3 | 3 | 1 | 10-8 | 12 |
| ზამბია | 7 | 2 | 2 | 3 | 10-9 | 8 |
| ტოგო | 7 | 2 | 2 | 3 | 9-12 | 8 |
| ლიბია | 7 | 0 | 2 | 5 | 5-15 | 2 |

**B ჯგუფი**

სიერა ლეონე — ლიბერია 0-1
განა — სუდანი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერია | 8 | 5 | 0 | 3 | 10-8 | 15 |
| ნიგერია | 7 | 4 | 1 | 2 | 12-3 | 13 |
| განა | 7 | 3 | 2 | 2 | 10-6 | 11 |
| სუდანი | 7 | 3 | 0 | 4 | 5-10 | 9 |
| სიერა ლეონე | 7 | 1 | 1 | 5 | 2-12 | 4 |

**C ჯგუფი**

ეგვიპტე — ნამიბია 8-2
სენეგალი — მაროკო 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 8 | 4 | 3 | 1 | 8-3 | 15 |
| ეგვიპტე | 7 | 3 | 3 | 1 | 15-6 | 12 |
| სენეგალი | 7 | 3 | 3 | 1 | 9-2 | 12 |
| ალჟირი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-13 | 7 |
| ნამიბია | 7 | 0 | 2 | 5 | 3-21 | 2 |

**D ჯგუფი**

კონგო — კოტ,დიუვარი 1-1
დრ. კონგო — ტუნისი 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტუნისი** | **8** | **6** | **2** | **0** | **23-4** | **20** |
| კოტ,დიუარი | 7 | 4 | 3 | 0 | 17-6 | 15 |
| დრ. კონგო | 7 | 2 | 1 | 4 | 5-15 | 7 |
| კონგო | 7 | 1 | 2 | 4 | 5-14 | 5 |
| მადაგასკარი | 7 | 1 | 0 | 6 | 4-15 | 3 |

*ტუნისი გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე.*

**E ჯგუფი**

სამხ. აფრიკა — მალავი 2-0
ზიმბაბვე — ბურკინა ფასო 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სამხ. აფრიკა** | **6** | **5** | **1** | **0** | **10-3** | **16** |
| ზიმბაბვე | 5 | 3 | 0 | 2 | 6-5 | 9 |
| ბურკინა ფასო | 6 | 1 | 2 | 3 | 7-8 | 5 |
| მალავი | 5 | 0 | 1 | 4 | 4-11 | 1 |



მექსიკა — პარაგვაი



ბრაზილია — პერუ

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ახალი ამბები

### ნუნუ გომეში მითქმა-მოთქმის დადასტურებას ან უარყოფას მოითხოვს

**პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელი ნუნუ გომეში „ფიორენტინას" სეზონისწინა მზადების ბანაკს მიადგა და კლუბის ხელმძღვანელებისგან მოითხოვა გაარკვიონ თუ რამდენად რეალურია ხმები მისი ტრანსფერის შესახებ. არადა, გომეშის გვარი მართლა ფიგურირებს კლუბის ვალების დასაფარავად გასაყიდ ფეხბურთელთა ნუსხაში. მერე თითქოს გადაიფიქრეს და გომეშს ენრიკო კიეზასთან ერთად ტოვებენ გუნდში. „ბენფიკას" ყოფილ ვარსკვლავს სურს დარჩეს „ფიორენტინაში", კლუბის მესვეურები კი გადაჭრით ვერაფერს ეუბნებიან.**

### გერმანელმა და ავსტრიელმა ფანატებმა ჩხუბი ატეხეს

ავსტრიის პოლიციამ დააპატიმრა 45 ფანატი (39 გერმანელი და 6 ავსტრიელი), რომლებმაც ერთმანეთში კაფეში ატეხეს ჩხუბი ვენის „ავსტრიისა" და მიუნხენის „ბავარიის" ამხანაგური მატჩის შემდეგ. ჩხუბი გერმანელებს წამოუწყიათ. 150 გერმანელი გულშემატკივარი 20 ავსტრიელ ფანატს შეჭრია კაფეში. გაშველებისას 2 პოლიციელიც დაშავდა. შეხლა-შემოხლა ჯერ კიდევ მატჩამდე დაწყებულა. თვით მატჩი ბავარიელებმა მოიგეს 2-1.

### ადრიანო „კავკასიის ცარცის წრეში"

„იუვენტუსი" და „ინტერი" იბრძვიან „ფლამენგოს" 19 წლის თავდამსხმელის ადრიანოს ხელში ჩასაგდებად. „იუვენტუსი" 14 მილიონ დოლარს სთავაზობს კლუბს. ახალგაზრდა ბრაზილიელით დაინტერესებული „ინტერი" კი, როგორც ამბობენ, მეტის გადამხდელია, ოღონდ ადრიანო მისი საკუთრება გახდეს.

### ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი გაქურდეს

**ნორვეგიის „ბრანი", რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა ქვეყნის ჩემპიონატში, გასულ სეზონში, პირწმინდად გაძარცვეს. დამნაშავეებმა გაიტაცეს კომპიუტერები, რომელშიც დაზირებული იყო ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ერთ-ერთი ელექტრონული მანქანა თვით აღმასრულებელ დირექტორს, ანრე მელეგუს ეკუთვნოდა, რომელიც შოკირებულია მომხდარით.**

**„ჩვენ დავკარგეთ ძვირფასი ინფორმაცია, ფეხბურთელთა კონტრაქტების ჩათვლით, და სხვა ფასეული საბუთები", — განაცხადა მელეგმა.**

### გულიტი კამერუნის ნაკრების მწვრთნელი?

ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელი გულიტი, შეიძლება მალე კამერუნის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მოგვევლინოს. ამის შესახებ გუშინ გახდა ცნობილი. კამერუნმა უკვე გაინაღდა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური.

„მოუთვინიერებელი ლომები", როგორც კამერუნელებს უწოდებენ, სერიოზული ზრახვებით მიემგზავრებიან მსოფლიო ჩემპიონატზე. გულიტის გარდა, კამერუნელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე კანდიდატად სახელდებიან აგრეთვე, კლოდ ლერუა, რომელიც ამ ნაკრებს 1998 წელს ედგა სათავეში და „ნანტის" ყოფილი დამრიგებელი ჟან კლოდ სიუოდო.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ახალი ამბები




COPA AMERICA COLOMBIA 2001

# კოპა ამერიკა

**A ჯგუფი**

კოლუმბია — ეკვადორი 1-0
არისტისაბალი (30).
ჩილე — ვენესუელა 1-0
მონტესინოსი (79)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩილე | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| კოლუმბია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| ვენესუელა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| ეკვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**B ჯგუფი**

ბრაზილია — პერუ 2-0
გილერმე (10), დენილსონი (86).
პარაგვაი — მექსიკა 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| პარაგვაი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| პერუ | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| კოსტა-რიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ბოლივია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ჰონდურასი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

## ამხანაგური მატჩი

**სპორტინგი (პორტუგალია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 3-0**
სა პინტუ (31 პენ), როდრიგუ ტელიუ (44, პენ), კვარესმა (63).

## კეპკე წავიდა



კანი

გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში ჩატარდა ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის ანდრეას კეპკეს გამოსათხოვარი მატჩი. 1996 წლის ევროპის ჩემპიონებმა (შტეფან ფროინდი, კრისტიან ციგე, ტომას ჰელმერი, დიტერ აილტცი, ტომს შტრენტი, იურგენ კლინსმანი) და ასევე კეპკეს ძველმა მეგობარმა რუდი ფიოლერმა სძლიეს კეპკეს ბოლო გუნდს „ნიურნბერგს" 3-2.

1996 წლის მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ადრეას კეპკე განაგრძობს სპორტულ საქმიანობას კლუბ „ნიურნბერგში", სადაც ის ერთ-ერთი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებს.

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

**ფინეთი**

იოკერიტი — როვანიემი 0-0
ჰიკი — ჯაზი 0-0
ტამპერე — ლაჰტი 4-3
მიუპა — ვაასა 1-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 17 | 11 | 3 | 3 | 30-21 | 36 |
| მიუპა | 17 | 9 | 6 | 2 | 28-14 | 33 |
| ჰიკი | 17 | 7 | 8 | 2 | 28-12 | 29 |
| ჰაკა | 18 | 8 | 5 | 5 | 27-17 | 29 |
| ინტერი | 17 | 8 | 4 | 5 | 27-23 | 28 |
| ატლანტისი | 17 | 6 | 5 | 6 | 23-24 | 23 |
| ლახტი | 16 | 5 | 4 | 7 | 20-23 | 19 |
| ვაასა | 16 | 6 | 1 | 9 | 18-22 | 19 |
| კუოპიუ | 16 | 4 | 6 | 6 | 11-19 | 18 |
| იოკერიტი | 18 | 4 | 5 | 9 | 20-32 | 17 |
| როვანიემი | 16 | 3 | 5 | 8 | 12-21 | 14 |
| ჯაზი | 15 | 1 | 4 | 10 | 9-25 | 7 |

**უკრაინა**

მეტალურგი (დონეცკი) — მეტალისტი 5-0
მეტალურგი (მარიუპოლი) — ვორსკლა 1-0
ზაკარპატიე — დნეპრი 0-0
დინამო — შახტარი 2-2
კარპატი — მეტალურგი (ზაპოროჟ.) 2-1
პოლიგრაფტეხნიკა — ცსკა 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალ. (დ) | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 7-2 | 4 |
| შახტარი | 2 | 1 | 1 | 0 | 7-3 | 4 |
| მეტალ. (მ) | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| დნეპრი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ტავრია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| კარპატი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| მეტალისტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-6 | 3 |
| პოლიგრ.ტეხ. | 2 | 1 | 0 | 1 | 1-5 | 3 |
| კრივბასი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ზაკარპატიე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| ვორსკლა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| ცსკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| მეტალ. (ზ) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**შვეიცარია**

არაუ — ლუცერნი 3-2
ლუგანო — გრასხოპერი 5-3
ქსამაქსი — სიონი 0-0
ციურიხი — სენტ გალენი 3-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-1 | 7 |
| ციურიხი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| ლუგანო | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| იანგ ბოისი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| სტ. გალენი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-3 | 3 |
| არაუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| გრასხოპერი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| ბაზელი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-9 | 3 |
| ქსამაქსი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| ლუცერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| ლოზანა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| სერვეტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**შვედეთი**

Fotboll

ჰალმსტადი — ჰამარბი 1-2
ტრელებორგი — გეტებორგი 0-0
ჰეკენი — ჰელსინგბორგი 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 13 | 6 | 5 | 2 | 22-12 | 23 |
| ჰამარბი | 13 | 6 | 5 | 2 | 18-12 | 23 |
| იორგრიტე | 14 | 6 | 5 | 3 | 21-16 | 23 |
| მალმიო | 13 | 7 | 1 | 5 | 22-16 | 22 |
| ჰელსინგბ. | 13 | 5 | 5 | 3 | 20-14 | 20 |
| დიუგარდენი | 13 | 5 | 5 | 3 | 14-14 | 20 |
| აიკ | 14 | 5 | 4 | 5 | 17-16 | 19 |
| ჰალმშტადი | 13 | 5 | 3 | 5 | 26-17 | 18 |
| ელფსბორგი | 13 | 5 | 2 | 6 | 20-24 | 17 |
| იორებრო | 13 | 3 | 7 | 3 | 20-19 | 16 |
| ნორჩოპინგი | 13 | 3 | 5 | 5 | 11-21 | 14 |
| ჰეკენი | 13 | 2 | 6 | 5 | 12-19 | 12 |
| სუნდვალი | 13 | 2 | 4 | 7 | 8-17 | 10 |
| ტრელებ. | 13 | 2 | 3 | 8 | 14-28 | 9 |

### თქვენთვის, ერუდიტებო! თბილისის „დინამო" ევროტურნირებში

***1. ვინ ითამაშა ყველაზე მეტი მატჩი თბილისის „დინამოდან" ევროტურნირებში:***
ა) რ. შენგელია
ბ) ა. ჩივაძე
გ) თ. სულაქველიძე

***2. „დინამოს" მეკარეებიდან ვინ გაუშვა ყველაზე მეტი ბურთი ევროტურნირებში:***
ა) ო. გაბელია
ბ) დ. გოგია
გ) ი. ზოიძე

***3. ვინ გაიტანა პირველი გოლი „დინამოდან" ევროტურნირებში:***
ა) კ. ასათიანი
ბ) დ. ყიფიანი
ბ) გ. ნოდია

***4. ვინ გაიტანა მე-100 გოლი „დინამოდან" ევროტურნირებში:***
ა) ა. იაშვილი
ბ) ლ. ხომერიკი
ბ) დ. მუჯირი

***5. რომელი ქვეყნის გუნდებთან ითამაშეს ყველაზე მეტი შეხვედრა „დინამოელებმა" ევროტურნირებში:***
ა) გერმანია
ბ) ინგლისი
გ) იტალია

**წინა ნომრის პასუხები:**
1 — ბ, 2 — ა, 3 — ა, 4 — გ, 5 — ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ინტერი“ იწყებს



მილანის „ინტერმა“ ახალი მწვრთნელის ექტორ კუპერის ხელმძღვანელობით ვარჯიში დაიწყო. ამ ფოტოზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი. რონალდო, ტოლდო, ფონტანა და სხვები ვარჯიშის წინ; მწვრთნელი ექტორ კუპერი.

## სკოლარის მათი იმედი აქვს

ბრაზილიის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ლუის ფილიპე სკოლარიმ დროებით „დაასვენა“ ორი განთქმული ვეტერანი რომარიო და რონალდო. მისი აზრით, ისინი ჯერჯერობით უნდა შეცვალონ 29 წლის ჯოვანი ელბერმა და 28 წლის მარიო ქარდელმა.

ელბერმა 2000-2001 წლების გერმანიის ჩემპიონატში პირდაპირ ბრწყინვალედ ითამაშა. მისი დიდი დამსახურებაცაა, რომ მიუნხენის „ბაიერნი“ პირველ ადგილზე გავიდა და ჩემპიონთა ლიგაშიც გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ ამ ლიგის გადამწყვეტ მატჩებში ელბერი დაშავებული თამაშობდა. როგორც ფიქრობენ; ელბერს კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია.

ამ რამდენიმე წლის წინათ ვანდერლეი ლუქსემბურგთ მარიო ქარდელს ბრაზილიის ნაკრებს არ აკარებდა. მას არც მომდევნო მწვრთნელი ლეაო ენდობოდა. ახლა სკოლარი, რომელთანაც ქარდელი ბრაზილიურ კლუბში თამაშობდა, ქარდელზე კვლავ დიდ იმედებს ამყარებს. სკოლარი არ არის „საბალეტო ფეხბურთის“ მიმდევარი, რომლითაც ბრაზილიელებმა ადრე მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი. იგი, როგორც ამბობენ, ამჯობინებს პრაგმატულ ფეხბურთს (თუმცა, „ლირიკული გადახვევებით“). ამ თვალსაზრისით კი, მისთვის, რომ იტყვიან, პირდაპირ მისწრებაა მარიო ქარდელი.

## ცუდი გამოსავალი როდია

**მადრიდის „რეალს“ მთელ მსოფლიოში მრავალი ქომაგი ჰყავს, მაგრამ მისი ერთ-ერთი „ფან-კლუბი“, რომელიც მადრიდში ათასზე მეტ წევრს ითვლის, მაინც მეტისმეტად აგრესიულია. ისინი სტადიონზე აყალმაყალს ტეხავენ, სცემენ სხვა კლუბების გულშემატკივრებს. ყოფილა შემთხვევა, რომ ამ მუშტი-კრივს მსხვერპლიც კი მოჰყოლია.**

**„რეალის“ ადმინისტრაციამ გამოიტანა დასკვნა, რომ მეტის მოთმენა ნამდვილად აღარ შეიძლებოდა. ამიტომ ახალი სეზონიდან ამ ვაიგულშემატკივრებს, რომელთა სრულია სია ცხადია, აქვთ, ცალკე ტრიბუნაზე დასვამენ, რომლიდანაც თამაშის ყურება კი შეიძლება, მაგრამ ყოველი მხრიდან შემოზღუდულია, ვერსად გადახვალ, ვერავის მიაყენებ შეურაცხყოფას. ამ ტრიბუნას ახლა „მაიმუნების გალია“ დაარქვეს.**

## ინტერტოტოს თასი

## მესამე შესარჩევი ეტაპი

INTERTOTO CUP

**პირველი მატჩები — 14-15 ივლისი**

**ლოკერენი (ბელგია) – ნიუკასლი (ინგლისი) 0-4**
**ბლშანი (ჩეხეთი) – პობედა (მაკედონია) 0-0**
**რენი (საფრანგეთი) – სინოტი (ჩეხეთი) 5-0**
**სლავენი (ხორვატია) – ასტონ ვილა (ინგლისი) 2-1**
**ვალვაიკი (ჰოლანდია) – მიუნხენ 1860 (გერმანია) 1-2**
**ვოლფსბურგი (გერმანია) – დინამო (მინსკი, ბელარუსი) 4-3**
**ვერდერი (გერმანია) – გენტი (ბელგია) 2-3**
**ბრეშა (იტალია) – ტატაბანია (უნგრეთი) 2-1**
**ტრუა (საფრანგეთი) – აიკ (შვედეთი) 2-1**
**ტავრია (უკრაინა) – პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი) 0-1**
**ბაზელი (შვეიცარია) – ჰერენვენი (ჰოლანდია) 2-1**
**პუბლიკუმი (სლოვენია) – ლოზანა (შვეიცარია) 1-1**

**საპასუხოები — 21 ივლისი**

### როცა ინტერტოტოს შემადგენლობა „დაისვენა“

ინტერტოტოს გათამაშებას ორი წრის შემდეგ ბევრი მეტნაკლებად სუსტი კულბი გამოაკლდა. ახლა შეჯიბრება უფრო საინტერესო ფაზაში შევიდა.

უეფას შტაბბინაში ჩატარდა შეჯიბრების ნახევარფინალისა და ფინალის წილისყრა. როგორც ცნობილია, სამი უძლიერესი კლუბი ბოლის უეფას თასის საგზურებს მიიღებს.

ნახევარფინალში, რომლის შეხვედრებიც 25 ივლისსა და 1 აგვისტოს შედგება, ერთმანეთს შეხვდებიან:

„რენისა“ (საფრანგეთი) და „სინოტს“ (ჩეხეთი) შორის გამარჯვებული – „სლავენ ბელუპოსა“ (ხორვატია) და „ასტონ ვილას“ (ინგლისი) შორის გამარჯვებულს.

„ვერდერსა“ (გერმანია) და „გენტს“ (ბელგია) შორის გამარჯვებული – „ტავრიასა“ (უკრაინა), და „პარი სენ-ჟერმენს (საფრანგეთი), შორის გამარჯვებულს.

„ბლშანსა“ (ჩეხეთი) და „პობედას“ (მაკედონია) შორის გამარჯვებული – „ბრეშასა“ (იტალია) და „ტატაბანიას“ (უნგრეთი) შორის გამარჯვებულს.

„ბაზელსა“ (შვეიცარია) და „ჰერენვენს“ (ჰოლანდია) შორის გამარჯვებული – „პუბლიკუმსა“ (სლოვენია) და „ლოზანას“ (შვეიცარია) შორის გამარჯვებულს.

„ვაალვეიკსა“ (ჰოლანდია) და „მიუნხენ 1860“-ს (გერმანია) შორის გამარჯვებული – „ლოკერენსა“ (ბელგია) და „ნიუკასლ იუნაიტედს“ (ინგლისი) შორის გამარჯვებულს.

„ტრუასა“ (საფრანგეთი) და აიკ-ს (შვედეთი) შორის გამარჯვებული – „ვოლფსბურგსა“ (გერმანია) და მინსკის „დინამოს“ (ბელარუსი) შორის გამარჯვებულს.

ფინალური მატჩები 7 და 21 აგვისტოს გაიმართება.

### სანაიას კარგი პერსპექტივები აქვს

იმასთან დაკავშირებით, რომ სარატოვის „სოკოლმა“ უარი თქვა მეკარე ანდრეი სმეტანინზე, რუსეთის ჩემპიონატის მეორე წრეში ძალიან კარგი პერსპექტივები შეექმნა მეორე გამოცდილ გოლკიპერ ზურაბ სანაიას. სანაიამ, რომელიც ოდესღაც სამტრედიაში მურთაზ ხურცილავასთან იყო შეკრებაზე, პირველი წრე მხოლოდ სათადარიგო შემადგენლობაში გაატარა.

### რა გზას აირჩევს ბირჰოფი?

მას შემდეგ, რაც „მილანში“ ჩაირიცხნენ ფილიპო ინძაგი და ხავი მორენო, გუნდის ოდესღაც წამყვანი თავდამსხმელი ოლივერ ბირჰოფი, რომელსაც ბოლო სეზონი, ფაქტობრივად, ჩაუვარდა, თამაშგარეშე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, იგი გუნდს სტოვებს, მაგრამ, საინტერესოა, სად გააგრძელებს თამაშს?

ერთი ვარიანტი ბირჰოფს შესთავაზა ახლო წარსულში განთქმულმა იტალიელმა თავდამსხმელმა ჯანლუკა ვიალიმ, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ სათავეში ჩაუდგა ინგლისის პირველი ლიგის კლუბ „უოტფორდს“. ვიალი თვლის, რომ ბირჰოფი, რომელსაც, მისი აზრით, ჯერ კიდევ შესწევს ძალა, მოიზიდავს მაყურებელს, და დაეხმარება „უოტფორდს“, გადავიდეს ინგლისის უმაღლეს ლიგაში. საინტერესოა, რომ ასევე ახლო წარსულში კარგად ცნობილი გერმანელი თავდამსხმელი კლინსმანი არ ურჩევს ბირჰოფს ინგლისში გამგზავრებას, რადგან მას უფრო მაღალი კლასის გუნდი შეეფერება.

არის ასეთი პერსპექტივაც: ბირჰოფს შეუძლია დაბრუნდეს „უდინეზეში“, სადაც რამდენიმე წლის წინათ დიდი წარმატებით თამაშობდა.

### თავს ანებებს

ცნობილმა განელმა თავდამსხმელმა, 33 წლის ენტონი იებოამ განუცხადა „ჰამბურგის“ კლუბის ხელმძღვანელებს:

— კიდევ მოელის შეხვედრა მთავარ მწვრთნელ ფრანკ პაგელს დორფთან. თუკი იგი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ არა მთვლის, დავტოვებ „ჰამბურგს“.

უკანასკნელ სეზონში იებოა ბევრს ავადმყოფობდა, მაგრამ მწვრთნელი მაინც თვლის, რომ იგი კვლავინდებურად გამოადგება გუნდს. მისი ხელშეკრულება 2002 წლის ზაფხულში დამთავრდება.

### იან უოკერი ბევრს სჭირდება

იან უოკერი, ინგლისის ნაკრების ყოფილი მეკარე მთელი 12 წლის განმავლობაში იცავდა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ კარს. თავის დროზე მისი მამა მაიკლ უოკერი ცნობილი გოლკიპერი იყო.

იანი 31 წლისაა. მოხდა ისე, რომ ბოლო სეზონში „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელობამ მას სხვა მეკარე, ნეილ სალივანი ამჯობინა და გამოცდილი ფეხბურთელი სათადარიგო გახდა.

„ამან არაერთი კლუბი დააინტერესა. უოკერის შეძენა სურდათ „ფულჰემსა“ და „საუთჰემპტონს“, მაგრამ მეტი ინიციატივა „ლესტერ სიტიმ“ გამოიჩინა და 4 მილიონ დოლარად დაეუფლა გამოცდილ მეკარეს.

### პიანისტი სასტვენით

ბევრმა ალბათ არ იცის, რომ მუნდიალი — 2002-ს შერჩევითი ტურნირის მატჩებს მაღალპროფესიულ დონეზე ემსახურება 37 წლის გერმანელი არბიტრი ჰერბერტ ფანდელი, პროფესიით მუსიკის მასწავლებელია, ქალაქ კიულბურგის მუსიკალურ სკოლაში ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლის.

მსაჯობა მან 15 წლისამ დაიწყო, ბუნდესლიგის თამაშების გაძღოლა 1996 წელს მიანდვეს და ორი წლის შემდეგ ფიფა-ს არბიტრთა შორის მოხვდა. მან იმსაჯა ოლიმპიადა-2000-ის ტურნირის მატჩები ავსტრალიაში, აგრეთვე ევროპის ჭაბუკთა და ახალგაზრდების ჩემპიონატები, და ინტერტოტოს თასის შეხვედრები.

## არც ისე ძლიერი, „ფერენცვაროში“

### უნგრეთის ჩემპიონატის შედეგები

ალბათ, გახსოვთ დრო, როცა უნგრული კლუბები „ჰონვედი“, „ფერენცვაროში“ და სხვები მთელ ევროპას აზანზარებდნენ. მას შემდეგ არც ისე დიდი ხანი გავიდა. რომ ვთქვათ „უდიდესიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია“, მთლად მართალი არ ვიქნებით. „სასაცილო“ მეტად სასტიკად ნათქვამი იქნება, თუმცა ის კი ფაქტია, რომ უნგრულ კლუბებს დღეს სერიოზულად ანგარიშს არავინ უწევს, ეროვნული ჩემპიონატი კი ევროპული მასშტაბებით ნამდვილად მეორეხარისხოვნად ითვლება.

რა თქმა უნდა, უნგრეთის ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც, ცხადია, არც ფული აკლია და არც კვალიფიცირებული მწვრთნელები, გამოსავალს ეძებს. ქვეყნის ჩემპიონატი ხან როგორ ტარდება და ხან — როგორ.

ამჯერად დებულება კიდევ ერთხელ შეიცვალა. დასაწყისში 16 კლუბი ორ ჯგუფად დაჰყვეს. შემდეგ შეირჩა 6-6 საუკეთესო, რომლებსაც დაუმატეს ბონუსი — ერთიდან ექვს ქულამდე. ამ 12-მა კლუბმა გააგრძელა ორწრიანი ბრძოლა ჩემპიონობისათვის. 4 კლუბი, რომელიც ამ 12-ტთა სიაში ვერ მოხვდა, ავტომატურად გადავიდა მეორე დივიზიონში. იგივე ბედი ეწია თორმეტთა ასპარეზობის შემდეგ ორ უარესს. ისე კი, ძნელი სათქმელია, რამდენად შეინარჩუნებენ უნგრელები ამ სისტემას.

შეიძლება ითქვას, რომ უკვე რამდენიმე წელია უნგრულ ფეხბურთში გამოკვეთილი ლიდერი არა ჩანს. მცირეა მაყურებლების რიცხვი, თუმცა არც ისე დიდი ხნის წინათ სტადიონები გადაჭედილი იყო. სიმწვავე თუნდაც ძველთაძველ მეტოქეთა შეხვედრებსაც კი აკლია. ერთი სიტყვით, ხანგრძლივი, სერიოზული კრიზისის ყველა ნიშანია.

შეიძლება ითქვას, რომ პრეტენზიას ჩემპიონობაზე სულ ორი კლუბი აცხადებდა: ბუდაპეშტის ცნობილი „ფერენცვაროში“ და შარშანდელი გამარჯვებული ქ. დუნაივაროშის „დუნაფერი“. საინტერესოა, რომ „ფერენცვაროშს“ 5 წელია აღარ გაუმარჯვია ქვეყნის პირველობაზე, ახლა კი ყველაფერი კეთილად დასრულდა. მან ბოლო ტურში სტუმრად დაამარცხა „დებრეცენი“ 2-0, ორი ქულით ჩამოიტოვა „დუნაფერი“ და ჩემპიონი გახდა.

„ფერენცვაროშმა“ 48 ქულა მოაგროვა: 22 მატჩიდან 12 მოიგო, 8 ფრედ დაასრულა და 2 წააგო, ბურთების ჩინებული სხვაობით: 36:14. ყველაფერი რომ გასაგები იყოს, 4 ქულა ბუდაპეშტელებს წინასწარი ტურნირიდან გადმოჰყვათ. მეორე ადგილზე გასულმა „დუნაფერმა“ 46 ქულა მოაგროვა (13 მოგება, 2 ფრე, 7 წაგება, ბურთები 40-35). მესამეზეა ბუდაპეშტის „ვაშაში“ (40 ქულა). პირველი ადგილისათვის, ფაქტობრივად, არ უბრძოლია. კიდევ უფრო უფერულად ითამაშა ბუდაპეშტის ოდესღაც მეტად ძლიერმა კლუბებმა მტკ-მ (მეექვსე ადგილი 35 ქულა) და „ჰონვედმა“ (მეშვიდე, 34).

დასაწყისში გამოცხადდა, რომ უმაღლეს ლიგას დატოვებენ „დებრეცენი“ (24 ქულა) და სრულიად სუსტი „ტატაბანია“ (12). მაგრამ შემდეგ „დებრეცენი“ მოულოდნელად გადარჩა. საქმე ის არის, რომ ფინანსური ბრძოლების გამო უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე უარი განაცხადა მეორე ლიგის გამარჯვებულმა „ელორემ“.

ჩემპიონატის №1 სნაიპერია პეტერ კაბატი („ვაშაში“) — 24 გოლი, 22 ბურთი გაიტანა ატილა ტოკოლიმ („დუნაფერი“), 21 — ბელა ილეშმა (მტკ), 19 — შომბორ კერეკეშმა („დებრეცენი“), 18 — კრისტიან კენეშეიმ („დიორი“).

ქვეყნის თასს დაეუფლა „დებრეცენი“, ფინალში 7 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ანგარიშით 5-2 „ვიდეოტონი“ დაამარცხა.

ჩვენს მიერ ნახსენებ შამბორ კერეკეშს („დებრეცენი“) შეიძლება საქმე ძალიან ცუდად წაუვიდეს. საქმე ის არის, რომ მას სისხლში აკრძალული ნივთიერება აღმოუჩინეს. თვით ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ რაღაცა აბები კი მიიღო ანთებითი პროცესების წინააღმდეგ, მაგრამ კლუბის ექიმი არ გაუფრთხილებია. თუ განმეორებითმა ტესტმა პირველი შედეგი დაადასტურა, მაშინ 27 წლის თავდამსხმელს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ელის.

ახლა უნგრელები ემზადებიან ევროპული ფეხბურთის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად. ზეიმის ცენტრალური ღონისძიება იქნება 15 აგვისტოსათვის დანიშნული ამხანაგური მატჩი უნგრეთისა და გერმანიის ნაკრებებს შორის. ელიან საპატიო სტუმრებს: ზეპ ბლატერს, ლენარტ იუჰანსონს, მიშელ პლატინის, ფრანც ბეკენბაუერს.

— ამით გვინდა ყველას გავახსენოთ, რომ ოდესღაც წამყვან როლს მსოფლიო ფეხბურთში ისეთი პატარა ქვეყანა ასრულებდა, როგორიც უნგრეთია, — განაცხადა უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა იმრე ბოჟოკმა.

**ბიჭი თორელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტის ამბები ინტერნეტის სამყაროდან

«ფორმულა-1»

## გამარჯვება ფინელთანაც „მივიდა“

მსოფლიო ჩემპიონატის XI ეტაპის „ბრიტანეთის გრან-პრიზე“ ფინელმა მრბოლმა მიკა ჰაკინენმა თვალნათლივ გასცა საკადრისი პასუხი ოპონენტებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, თითქოს მისი „მზე ჩაესვენა“ და იგი ველარ შეძლებს სწრაფად რბოლას. მან კი ტოლი არავის დაუდო კვირას სილვერსტოუნის ავტოდრომზე, მართლაც ბრწყინვალედ განვლო მთელი ტრასა და საგრძნობლად ჩამოიტოვა ლიდერი, მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი.



ჰაკინენი

ისე, ყველას ეგონა, რომ „ბრიტანეთის გრან-პრის“ მასპინძელი დევიდ კულტჰარდი მოიგებდა, რომელსაც ასეთი შანსი აღარ ექნებოდა შეემცირებინა ქულათა სხვაობა საგრძნობლად დაწინაურებულ მიხაელ შუმახერთან. ამის პირობას იძლეოდა შინაური ტრასა, გამარჯვების ტრადიცია — ყველაფერი, თითქოს მის მხარეზე იყო, მაგრამ ეს „კოზირები“ წყალში ჩაეყარა რბოლის დაწყებისთანავე. სტარტზე მან ლატვიელ იარნო ტრულისთან „რაღაც ვერ გაიყო“ და მე-18 ადგილზე აღმოჩნდა პირველ წრეზე, შემდეგ კი ჩამოშორდა ეტაპს. ამით რბოლას მთავარი ინტრიგა თითქოს გამოაკლდა, მაგრამ ბრძოლა ნაკლებსაინტერესო როდი გახდა. დაწყებისთანავე მიკა ჰაკინენმა მიიქცია ყურადღება, მესამე წრეზე კი მან თვით მიხაელ შუმახერიც საგრძნობლად ჩამოიტოვა. ამას გერმანელი მშვიდად შეხვდა, მაგრამ ფინელი აშკარად არ ხუმრობდა და მეექვსე წრეზე ტრასის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა. პირველი ექვსეული კი ასე გამოიყურებოდა — ჰაკინენი, მიხაელ შუმახერი, მონტოია, ბარიკელო, რალფ შუმახერი, რაიკინენი.

მეცხრე წრეზე ჰაკინენი უკვე 12 წამით უსწრებდა მიხაელს, რომლისთვისაც უსიამო წამები ამით არ დამთავრებულა, მას მონტოია აედევნა და რამდენიმე წუთში სამგზის ჩემპიონს მანაც გაუსწრო. აქ გაირკვა, რომ მ. შუმახერი „ამუხრუჭებდა“ ყველას. მონტოიამ დიდი სისწრაფით აუარა ჰაკინენსაც, რომელიც საბურავის გამოსაცვლელად ბოქსში შევიდა, მონტოიას აშკარად მოეწონა ლიდერობა და კარგახანს გაძლო კიდეც, მაგრამ მასაც მოუწია ბოქსში შესვლა და რბოლას ისევ ჰაკინენი ჩაუდგა სათავეში, რომელიც პრაქტიკულად ყოველ წრეზე ტრასის რეკორდებს ამყარებდა სისწრაფეში.

რამდენიმე წუთში ტრასაზე სურათი შეიცვალა: ჰაკინენი ბოქსში შევიდა, მიხაელ შუმახერს კი ამ მომენტისათვის ერთხელაც არ მიუმართავს ტექნიკური დახმარებისათვის. მაგრამ ნახევარი წრის გავლის შემდეგ მიხვდა, რომ ეს სარისკოა და თავადაც შევიდა საწვავისათვის...

გამარჯვება მაკლარენელ მიკა ჰაკინენს დარჩა — 1:25.33,770. მეორე იყო მ. შუმახერი, რომელიც 0.33,646 წამით ჩამორჩა, მესამე ადგილზე გავიდა რუბენს ბარიკელო (ორივე — „ფერარი“) ჩამორჩენა — 0.59,280.

***საერთო ჩათვლა:***

1. მ. შუმახერი— 84 ქულა; 2. დევიდ კულტჰარდი (დიდი ბრიტანეთი, „მაკლარენი“) — 47; 3. ბარიკელო (ბრაზილია, „ფერარი“) — 34; 4. რალფ შუმახერი (გერმანია, „უილიამსი“) — 31; 5. ჰაკინენი — 19.



ლიუისი



ტაისონი

## ტაისონი და ლიუისი ოლიმპიადის ფინალში?

### პროფესიულ კრივს გზა ეხსნება ოლიმპიური რინგისკენ

თუ ეს ნამდვილად მოხდა, უპრეცედენტო შემთხვევა იქნება ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. ყოველ შემთხვევაში, სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (აიბა) პრეზიდენტმა, პროფესორმა ანვარ ჩაუდრიმ განაცხადა, რომ არ გამორიცხავს ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში პროფესიონალი მოკრივეების, მათ შორის ტაისონისა და ლიუისის მონაწილეობას. ამ დღეებში საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ნება დართო აიბა-ს იწოდებოდეს ოლიმპიურ კრივად და გამოიყენოს ოლიმპიური სიმბოლიკა. სიტყვა „მოყვარული“ ქრება ასოციაციის სახელწოდებიდან. შემდეგი ნაბიჯი, როგორც აიბა-ს პრეზიდენტმა თქვა, იქნება მოყვარულთა და პროფესიონალთა ერთობლივი ორთაბრძოლები აიბას-ს წესებით. მოგვიანებით კი ყველა რჩეული მოკრივე, მიუხედავად სტატუსისა, იასპარეზებს ოლიმპიურ თამაშებში. ასე რომ, ყველა პროფესიონალს მიეცემა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ იგემოს ოლიმპიური რინგი.

რაღა თქმა უნდა, პროფესიონალები თავიანთი ქვეყნის ნაკრებ გუნდში ადგილს წაართმევენ ახალგაზრდა პერსპექტიულ მოკრივეებს, მაგრამ მიიჩნევენ, რომ მსხვერპლი გამართლებულია – კრივის ავტორიტეტი და პრესტიჟი არნახულად აიწევს მთელს მსოფლიოში.

## დეკერმა მოიგო VIII ეტაპი, IX – ივანოვმა

ჰოლანდიელმა ველომრბოლმა ერიკ დეკერმა მოიგო მრავალდღიანი ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ VIII ეტაპი.

***მერვე ეტაპი. კოლმარი — პონტალიე. 220 კმ.***

1. ერიკ დეკერი (ჰოლანდია) — 4.59,18, 2. აიტორ ჰიმენესი (ესპანეთი) — იგივე დრო. 3. სერვაისი კნავენი (ჰოლანდია) — იგივე დრო.

***საერთო ჩათვლა***

1. სტიუარტ ო'ტრეიდი (ავსტრალია), 2. ფრანსუა სიმონ (საფრანგეთი) — ჩამორჩენა 4,32, 3. ბრამ დე გრუტი (ჰოლანდია) — ჩამორჩენა 21,16.

(იხ. I გვ.).

ველორბოლა



სტრაგურსკაიას ულოცავენ...

## სტაგურსკაია - „ჯიროს“ გამარჯვებული

ქალთა მრავალდღიანი ველორბოლა „ჯირო დ'იტალია“ ბელარუსი ველომრბოლის მსოფლიო ჩემპიონ ზინაიდა სტაგურსკაიას გამარჯვებით დასრულდა. სტაგურსკაიამ რბოლის 3 ეტაპი მოიგო: „დიდად ბედნიერი ვარ, ამ მოგებას ვუძღვნი ჩემს ქალიშვილს, — განაცხადა გამარჯვებულმა. სტაგურსკაია დაიბადა 1971 წელს ბელარუსში, ბოლო ოთხი წელია ცხოვრობს და ვარჯიშობს იტალიის ქალაქ კაპანიოლში.

***საერთო ჩათვლა:*** 1. ზინაიდა სტაგურსკაია (ბელარუსი) — 39:15.05

2. ნიკოლ ბრანდლი (შვეიცარია) — ჩამორჩენა 0.32. 3. დიანა ჟელიუტე (ლიტვა) — ჩამორჩენა 4.29, 4. ედიტა პუჩინსკაიტე (ლიტვა) — ჩამორჩენა 6.17. 5. ჰოანე სომმარიბა (ესპანეთი) — ჩამორჩენა 6.18.

## სინქრონული ცურვა

წყალთა სახეობებში მსოფლიო ჩემპიონატზე, იაპონიაში, გუშინ სინქრონული ცურვის სოლო პროგრამაში ადგილები ასე განაწილდა: ო. ბრუსნიკინა (რუსეთი), 2. მ. ტაჩიბანა (იაპონია), 3. ვ. დიდე (საფრანგეთი); დუეტი: 1. ა. დავიდოვა — ა. ერმაკოვა (რუსეთი), 2. მ. ტაჩიბანა — მ. ტაკედა (იაპ), 3. კ. კარვედიასი — ფ. ლეტურნო (კანადა).



ბრუსნიკინა



ერიკ დეკერი



## ცურვა

## ვალის პირველი ოქრო

იტალიელმა მოცურავემ ვიოლა ვალიმ მოიგო პირველი ოქროს მედალი იაპონიის ქალაქ ფუკუოკეში სპორტის საწყლოსნო სახეობებში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში. ***5 კმ. ქალები:*** 1. ვიოლა ვალი (იტალია) – 1:00.23, 2. ჰეგი ბუხსე (გერმანია) – 1:00.49, 3. ჰეილი ლუისი (ავსტრალია) – 1:00.52; ***ვაჟები:*** 1. ლუკა ბალდინი (იტალია) – 55.37, 2. ევგენი ბეზრუჩენკო (რუსეთი) – 56.31, 3. მარკო ფორმენტინი (იტალია) – 56.42.

*სურათებზე: ვიოლა ვალი გამარჯვებას ზეიმობს; მარჯვნივ — ევგენი ბეზრუჩენკო.*



## უიმბლდონის შემდეგ




## ჩოგბურთელი ქალების რეიტინგი

1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, დაიბ. 1980 წლის 30 სექტემბერს) — 5577. 2. ვენუს უილიამსი (აშშ, 1980 წ. 17.6) — 4597. 3. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ. 1976. 26.4) — 4439. 4. ლინდსეი დევენპორტი (აშშ. 1976. 8.6) — 4345. 5. ჟიუსტინ ჰენინი (ბელგია. 1982. 1.6) — 2691. 6. კიმ კლიისტერსი (ბელგია. 1983. 8.6) — 2446. 7. ამერი მორესმო (საფრანგეთი, 1979. 5.7) — 2429. 8. სერენა უილიამსი (აშშ. 1981. 26.9) — 2381 9. ნატალი ტოზია (საფრანგეთი. 1967. 17.10) — 2035. 10. მონიკა სელეში (აშშ. 1973. 2.12) — 1886. 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი. 1981. 15.10) — 1885. 12. ამანდა კეცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. 1971. 20. 10) — 1725. 13. ანა კურნიკოვა (რუსეთი. 1981. 7.6) — 1723. 14. მაგდალინა მალეევა (ბულგარეთი. 1975. 1.4) — 1712. 15. მეგან შონესი (აშშ. 1979. 13;4) — 1545. 16. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი. 1972. 16.4) — 1527. 17 სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი. 1972. 3.4) — 1485. 18. სილვია ფარინა-ელია (იტალია. 1972. 27.4) — 1472. 19. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი. 1971. 18.12) — 1468. 20. ანკე ჰუბერი (გერმანია. 1974. 4.12) — 1452 ქულა და ა.შ.

## ატპ-ს საჩემპიონო მარულა

**1. ანდრე აგასი (აშშ) — 574 ქულა. 2. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — 490. 3. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) — 466. 4. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — 383. 5. სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) — 342. 6. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — 337. 7. როჟე ფედერერი (შვეიცარია) — 294. 8. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) — 278. 9. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 265. 10. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — 243. 11. ალექს კორეტჰა (ესპანეთი) — 232. 12 არნო კლემანი (საფრანგეთი) — 215. 13. თომას იუჰანსონი (შვედეთი) — 200. 14. ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — 195. 15. ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) — 195. 16. კარლოს მოია (ესპანეთი) — 178. 17. ალბერტ პორტასი (ესპანეთი) — 177. 18. გილიერმო კანასი (არგენტინა) — 173. 19. გრეგ რუსედსკი (ინგლისი) — 171. 20. პიტ სამპრასი (აშშ) — 168 (!). 21. მარატ საფინი (რუსეთი) — 167 ქულა და ა.შ.**

**გასაგებია გორან ივანიშევიჩის ასეთი დიდი ნახტომი. პიტ სამპრასსაც არასოდეს დაუხევია ასე უკან.**




## ვინ ვინაა ● «ფორმულა-1»

### ლუსიანო ბურტი



დაიბადა 1975 წლის 5 მარტს ქ. სან-პაულუში (ბრაზილია). „ფორმულა-ვოკსხოლის" 1997 წლის, აგრეთვე ბრიტანეთის „ფორმულა-3"-ის 1998 წლის ჩემპიონია „პოლ სტიარტ რეისინგის" შემადგენლობაში, სამ წელიწადს იყო „იაგუარის" ტესტ-პილოტი (1999 წლამდე — „სტიუარტი"). დებიუტი „ფორმულა-1"-ში: „ავსტრალიის გრან-პრი" (2000 წლის 16 ივლისი). მე-11 ადგილი. გუნდი: „იაგუარი" (2000-2001). საუკეთესო შედეგი: არა. უცოლ-შვილოა.

### ფერნანდო ალონსო



დაიბადა 1981 წლის 29 ივლისს ქ. ოვიედოში (ესპანეთი). მე-4 ადგილი „ფორმულა-300" (2000) ასტრიმეგის გუნდში. „ფორმულა-1"-ის წლევანდელი დებიუტანტია. უცოლშვილო.

### ტარსო მარკესი



დაიბადა 1976 წლის 19 იანვარს ქ. კურიტიბეში (ბრაზილია). დებიუტი „ფორმულა-1"-ში: „ბრაზილიის გრან-პრი" (1996 წლის 31 მარტი) გუნდი: „მინარდი" (1996-1997, 2001). საუკეთესო მიღწევა: არა. სტარტი აიღო 10 რბოლაში: საუკეთესო ფინიში — მე-10 ადგილი (დიდი ბრიტანეთი 1997). უცოლშვილო.

## გაბედულება არ გინდა?! პირველი ადგილი ივანიშევიჩს უწინასწარმეტყველო

**ის, რაც დღეს ყველამ კარგად ვიცით, უიმბლდონის ტურნირის დაწყებამდე უბრალოდ, წარმოუდგენელი რამ იყო, მაგრამ აღმოჩნდა ასეთი გაბედული: ვინმე ლონდონელმა ჯეიმს ჰესკეტმა, მაშინ, როცა კოეფიციენტი 500/1 იყო, 240 გირვანქა სტერლინგის ფსონით გორან ივანიშევიჩს უწინასწარმეტყველა პირველი ადგილი, რაც მაშინ ახირებულობად ჩაითვალა.**

**ივანიშევიჩის ტრიუმფის შემდეგ ჯეიმს ჰესკეტმა 27 ათასი გირვანქა სტერლინგი მოიგო.**

## ბილ კლინტონი ჩოგბურთელების შესახებ

ამერიკის ექს-პრეზიდენტი ბილ კლინტონი მაისში როლან გაროსს დაესწრო, შემდეგ უიმბლდონსაც ეწვია. როგორც კლინტონმა განაცხადა, მას ძალიან მოსწონს თანამემამულეები ანდრე აგასი და ვენუს უილიამსი. უიმბლდონის ორგზის ჩემპიონს მან „ჯეირანი" უწოდა, რითაც ძალიან გაახარა მისი მამა რიჩარდ უილიამსი: „ყოველთვის ვამბობდი, რომ ვენუსი კორტზე მოძრაობისას ძალიან ჰგავს ჯეირანს. პირველად მას ამის შესახებ 10-11 წლისას უთხრეს. ბედნიერი ვარ, რომ ბატონმა კლინტონმა ასეთი სიტყვებით შეამკო ჩემი ქალიშვილი. კარგად მახსოვს, რომ პრეზიდენტი შარშან აშშ-ს ღია ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე ვენუსის საქომაგოდ მოვიდა".

## პატრიკ რაფტერი: მომეწყინა „ისტორიის შექმნა"

**პატრიკ რაფტერმა განაცხადა, რომ მას მოეწყინა სხვების მიღწევების თანამონაწილეობა.**

**ასე მაგალითად, მან შარშან უიმბლდონის ფინალში დამარცხებით ხელი შეუწყო პიტ სამპრასს მეცამეტედ გაემარჯვა „დიდი მუზარადის" ტურნირში და ამრიგად, დაემყარებინა „საუკუნის რეკორდი". წელს მისი მონაწილეობით ივანიშევიჩმა თავისებური რეკორდი დაამყარა — შეჯიბრებაში „უაილდ კარდით", ანუ სხვა სიტყვებით, ხათრით დაშვებული კაცი ჩემპიონი გახდა.**

**და კიდევ ერთი: ფინალში წლევანდელი წაგებით რაფტერი შეუერთდა იმ ჩოგბურთელებს, რომლებიც ამ ეტაპზე გადამწყვეტ შეხვედრაში ორჯერ ზედიზედ დამარცხდნენ. ესენია ბორის ბეკერი 1991 და 1992 წლებში, ივან ლენდლი — 1986-1987 წლებში, ჯიმი კონორსი 1977 და 1978 წლებში, ფრედ სტოული — 1963 და 1965 წლებში, როდ ლეივერი — 1959-1960 წლებში.**

## ჭადრაკი

## დაწინაურდა კრამნიკი

დორტმუნდში (გერმანია) მიმდინარე სუპერტურნირის ბრძოლაში მსოფლიოს 6 უძლიერესი დიდოსტატის მონაწილეობით, ჩაებნენ ვლადიმირ კრამნიკი, ალექსანდრ მოროზევიჩი (ორივე რუსეთი), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი) მაიკლ ადამსი (ინგლისი) და ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი).

4 ტურის შემდეგ 3 ქულით წინ კრამნიკია.

## დასწრების რეკორდი

**ამდენი მაყურებელი უიმბლდონს არასოდეს ჰყოლია. 13 სათამაშო დღის განმავლობაში ჩოგბურთელთა შეჯიბრებას 476 711 მაყურებელი ესწრებოდა, მაშინ, როცა შარშან მათი რაოდენობა 446 593 იყო.**

**გაიყიდა 34 ტონა მარწყვი ნაღებით, 14 ათასი ბოთლი შამპანური და 250 ათასი ბოთლი მინერალური წყალი.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**17 ივლისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთი. ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (14.00, 15.10 პირდაპირი რეპორტაჟი ლ. მესხის სახელობის საჩოგბურთო აკადემიიდან). ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00). *ESPN*. სპორტის სიახლენი (21.30, 22.30, 02.30, 05.30), *EUROSPORT*. ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 3.15), ველორბოლა. „ტურ დე ფრანსი" (12.30, 13.30), მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (21.00, 21.30), ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი: ჰოლანდიის ჩემპიონატი „ფეიენოორდი" — „ტვენტე" (13.15), საფრანგეთის პსჟ — „ოლიმპიკი" (15.30), გერმანიის „ბავარია" — „შალკე-04" (17.15), ესპანეთი „ვალენსია" — „ბარსელონა" (19.25), გერმანიის „შალკე-04" — „ჰერტა" (21.40), ჩემპიონთა ლიგა. „სპორტინგი" — მოსკოვის „სპარტაკი" (23.25). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. დორტმუნდის სუპერტურნირი (11.40, 20.30), სოკ-ის 112-ე სესიის დღიური (12.40), მსოფლიო ჩემპიონატები სპორტის საწყლოსნო სახეობებში (14.00, 17.45, 22.05).

**18 ივლისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა თასი. საკვალიფიკაციო მატჩი. ქუთაისის „ტორპედო" — ჩრდ. ირლანდიის „ლინფილდი" (20.55, რეპორტაჟი ქუთაისიდან). ევრიკა. „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.30), *PTP.* მსოფლიო ჩემპიონატი სპორტის საწყლოსნო სახეობებში (2.25 იაპონიიდან). *ESPN*. სპორტის სიახლენი (21.30, 22.30, 02.30). *EUROSPORT*. ველორბოლა. „ტურ დე ფრანსი" (1.30, 18.00, 1.00, 2.30), ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00, 21.00, 3.15), ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი: ესპანეთის ჩემპიონატი — „ვალენსია" — „ბარსელონა" (13.15), გერმანიის „შალკე-04" — „ჰერტა" (15.25), ჰოლანდიის პსვ — „ვაალვეიკი" (17.40), საფრანგეთის „მონაკო" — „ლიონი" (21.50). ჩემპიონთა ლიგა. ინგლისის „ლიდსი" — ესპანეთის „ბარსელონა" (23.50). მსოფლიო ფეხბურთი (17.10). ***НТВ плюс спорт.*** მსოფლიო ჩემპიონატები სპორტის საწყლოსნო სახეობებში (11.40, 12.40, 14.00, 19.15, 20.15, 20.30, 21.50), ტაილანდური კრივი (18.00).

**19 ივლისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00). ***II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (21.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00), *PTP.* მსოფლიო ჩემპიონატები სპორტის საწყლოსნო სახეობებში (2.25), *ESPN*. სპორტის ახალი ამბები (07.00, 21.30, 22.30, 02.30, 05.30), ფეხბურთი. „მსოფლიო თასი" (17.30, 05.00). *EUROSPORT*. ველორბოლა. „ტურ დე ფრანსი" (13.00, 22.30). ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00, 21.00, 2.15), მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (15.30, 19.00), სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (17.30), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (18.00), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (20.30). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (2.15, 3.45). ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი: ჰოლანდიის ჩემპიონატი პსვ — „ვაალვეიკი" (15.40), საფრანგეთის „მონაკო" — „ლიონი" (17.20), გერმანიის „ბავარია" — „კაიზერსლაუტერნი" (19.20), მსოფლიო ფეხბურთი. მიმოხილვა (22.10), ჩემპიონთა ლიგა. „იუვენტუსი" — „ჰამბურგი" (23.20), საფეხბურთო გეოგრაფია — ბრაზილია (1.15). ***НТВ плюс спорт.*** მსოფლიო ჩემპიონატები სპორტის საწყლოსნო სახეობებში (11.40, 12.40, 14.00, 15.30, 17.15, 20.30, 22.20, 1.30).



**ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლის კოლექტივი და პირადად ამ სკოლის დირექტორი ელდარ ფარჯანაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქართული სპორტის დიდი მეგობრის და თანამდგომის, ბრწყინვალე პიროვნების, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი რექტორის, საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს**

**ვლადიმერ ბაბუას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## კროსვორდი № 55



**თარაზულად:** 4. საფრანგეთის საფეხბ. ნაკრების მწვრთნელი, 8. სპორტსმენი ანუ... 9. სასროლეთი, 10. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 11. იტალიის საფეხბ. კლუბი. 15. ნიჩბოსანთა სადგური, 17. ცხენოსნის ჩასაცმელი ცხენის გაწვრთნაში გამოსვლისას, 18. მოკლე მანძილზე მორბენალი.

**შვეულად:** 1. შეჯიბრების დასაწყისი, 2. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 3. ცნობილი ქართველი ვაჟი ჩოგბურთელი — ვეტერანი, 5. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 6. მოსკოვის ცსკა-ს ყოფილი ფეხბურთელი, 7. ცნობილი ქართველი ფალავანი, ოლიმპიური ჩემპიონი, 12. ილეთი ჭიდაობაში, 13. იგივეა, რაც იალქანი, 14. გულშემატკივარი ანუ... 15. საჭადრაკო ფიგურა, 16. პორტუგალიელი ვეტერანი ფეხბურთელი.

### კროსვორდი №54 ● პასუხები:

**თარაზულად:** 3. ხაპოვი, 6. მარაო, 8. „სონი", 9. ტაფარელი, 10. რეი, 11. ანი, 12. სკა, 13. ილიე, 16. ბობანი, 17. ბადრო, 18. მალანია, 20. კორტი.

**შვეულად:** 1. კარტინგი, 2. სარფი, 4. პასი, 5. ვუნდერკინდი, 7 ფრონე, 14. ლიდერი, 15. აბრაგი, 16. „ბრაგა", 17. ბეკი, 19. „აია".

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



**შამათი 2 სვლაში**

„ლელოს" №53-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლg2! 1. ...კ:g2 2. კc6 კ:c6+ 3. მ:c6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. © „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშონიძე.